# აჭარა

გამოცემის 101-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№2 (24.882) ხუთშაბათი, 13 - 14 იანვარი, 2022 წ. 50 თეთრი


### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია წვიმა, ცვალებადი მიმართულების ძლიერი ქარი, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 10-12, შიდამთიან რაიონებში - 3-7, მაღალ მთაში - 0-6 გრადუსი ყინვა.

ზღვის წყლის ტემპერატურა 6 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა.

## ძველით ახალ წელს გილოცავთ!



## კრიალოსანი

„ამერიკის შეერთებული შტატები არ განიხილავს ევროპის უსაფრთხოებას ჩვენი ევროპელი მოკავშირეებისა და პარტნიორების გარეშე“, - განაცხადა აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა. მისივე თქმით, ამერიკის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ ურყევია. „ჩვენ, საერთაშორისო საზოგადოების უდიდეს ნაწილთან ერთად, გავაგრძელებთ მოწოდებას, რომ რუსეთმა შეწყვიტოს საქართველოს ოკუპაცია“, - აღნიშნულია დეგნანის განცხადებაში.

* * *

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ჰუბერტ ქნირშს შეხვდა. ელჩმა შალვა პაპუაშვილს პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევა მიულოცა, წარმატებები უსურვა და მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. შეხვედრაზე ორი ქვეყნის მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებზე, სამომავლო თანამშრომლობის პრიორიტეტებზე და საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესზე ისაუბრეს. პაპუაშვილმა ელჩს გერმანიის მხრიდან საქართველოს დემოკრატიული რეფორმების განხორციელებისა და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

* * *

საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია და კომიტეტის აპარატის წევრები ყაზახეთში მიმდინარე მოვლენების გამო ყაზახეთის ქართული დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებს დაუკავშირდნენ. კომიტეტის თავმჯდომარემ მიიღო ინფორმაცია იმ ქალაქებში არსებული ვითარების შესახებ, სადაც ისინი ცხოვრობენ. „ყაზახეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს მუდმივი წვდომა აქვთ და ექნებათ მათთვის საჭირო სერვისებსა თუ ინფორმაციაზე,“ - აღნიშნა ბექა ოდიშარიამ.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა რუმინეთის ელჩს რეზვან როტუნდუს უმასპინძლა და მასთან განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანამშრომლობის გაფართოების შესაძლებლობები განიხილა. უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა ერთმანეთს თავიანთი ქვეყნების გამოცდილება გაუზიარეს განათლების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფის მიმართულებით Covid-19-ის პანდემიის პირობებში. მინისტრმა სტუმარს განათლების სისტემის მთავარი მეგაპროექტის - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია.

## მსხვერპლი რომ ავიცილოთ

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

***აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის სლოგანია «აჭარა ჯანმრთელი და სოციალურად დაცული ოჯახებით!». შარშანდელთან შედარებით სამინისტროს ბიუჯეტი გაზრდილია და 28 მილიონ ლარს აღემატება***

ქვეყნის, რეგიონის ჯანმრთელობის დაცვის სექტორი კორონავირუსის ახალი შტამის შემოტევის წინ უდიდესი გამოწვევის წინაშეა. თითოეული ოჯახის ზრდასრული წევრები მობილიზებულნი უნდა იყვნენ, რომ ქვეყანამ ახალი შემოტევა ადამიანთა მსხვერპლისა და დიდი ეკონომიკური ზარალის, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესების გარეშე დაძლიოს. ამ ეტაპზე უპირველეს საქმედ მოსახლეობის ვაქცინაცია რჩება. აჭარის მთიანეთის სამივე მუნიციპალიტეტში ამ მიმართებით მდგომარეობა საგანგაშო არაა, თუმცა ადგილობრივ მედპერსონალს, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების მოხელეებს გასაკეთებელი და საზრუნავი ბევრი აქვთ. დეკემბერ-იანვრის გასაყარზე აჭარის მთიანეთში უხვად მოსულმა თოვლმა სამედიცინო საქმიანობასაც რიგი პრობლემები შეუქმნა. შორეული სოფლებიდან გართულდა დაინფიცირებული პაციენტების გადმოყვანა. უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შეფერხდა როგორც პირველი და მეორე, ასევე ბუსტერდოზით აცრები.

უახლოეს დღეებში სინოპტიკოსები აჭარის მთიანეთში კვლავ უხვ ნალექს ვარაუდობენ. ამინდის გაუარესება მედიკოსებისა და ხელისუფლებისგან ისევ ძალების სრულ მობილიზებას მოითხოვს. რა უნდა გაკეთდეს უახლოეს პერიოდში, როგორ უნდა იმოქმედონ ოჯახის ექიმებმა, თემის სამედიცინო პუნქტისა და პირველადი ჯანდაცვის ცენტრების პერსონალმა, ამის თაობაზე აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, მინისტრის მოადგილე მარინა ზანაქიძე ხულოსა და შუახევის ჯანდაცვის სფეროს მუშაკებსა და მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებს შეხვდნენ.

ნინო ნიჟარაძემ დამსწრეთ რეგიონსა და თითოეულ მუნიციპალიტეტში კოვიდპანდემიასთან ბრძოლის მიმართულებები გააცნო სტატისტიკური მაჩვენებლების გამოყენებით. ორივე მუნიციპალიტეტის საქმიანობა ამ მიმართულებით ნორმალურად შეაფასა.

მინისტრის მოადგილემ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის პროგრამები გააცნო. ითქვა, რომ ჯანმრთელობის დაცვის 9, სოციალური დაცვის 17 პროგრამა იმოქმედებს.

ხულოსა და შუახევში გამართული შეხვედრების შემდეგ კომენტარები მინისტრსა და შეხვედრების სხვა მონაწილეებს ვთხოვეთ.



**ნინო ნიჟარაძე:** - ამ შეხვედრების ძირითადი თემა გახლდათ ეპიდსიტუაცია და ვაქცინაციის მიმდინარეობა. აჭარაში სამივე კონტინგენტის მოსახლეობის 85 პროცენტამდეა ვაქცინირებული. შუახევსა და ხულოში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მეტია. შეხვედრაზე დამატებითი ღონისძიებანი დაისახა ვაქცინაციის მაჩვენებლის მაქსიმალურად გაზრდისთვის. გარდა ამისა, სიახლეა ის, რომ სამედიცინო პერსონალს მიეწოდა ინფორმაცია 2022 წელს დაგეგმილი პროგრამული სიახლეების შესახებ. მათ მიეცათ დავალება, აღნიშნული სიახლეები თითოეულ მცხოვრებამდე მიიტანონ. ის ბიუჯეტი, რომელიც ჩვენ სამინისტროს ერგო, თითოეული ოჯახის ჯანმრთელობის დაცვასა და კეთილდღეობაზე იქნება გათვლილი. გასულ წლებთან შედარებით ყველა პროგრამაში მომსახურების მოცულობა, ბენეფიციართა რაოდენობა გაზრდილია. დავიწყეთ გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება, ასევე ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის დაფინანსება. საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება 30 ათას ლარამდე გაიზარდა. სიახლეა ასევე ფსორიაზის, ფსორიაზით გართულებული ართრიტების დაფინანსება. მკურნალობა ძვირად ღირებული მედიკამენტებით ხდება. სოციალური პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა გაზრდილია. მიუხედავად არსებული რიგი ბარიერებისა, არცერთ მოქალაქეს წლის განმავლობაში უარით არ ვისტუმრებთ, რაშიც ქვეყნისა და რეგიონის მთავრობა სრულ მხარდაჭერას გვიცხადებს.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **რუსუდან შავაძე**: - ეპიდვითარება ჩვენს მუნიციპალიტეტში ჯერჯერობით საგანგაშო არაა, მაგრამ უახლოეს დღეებში ყველას მეტი მობილიზება გვმართებს. ის ტემპი, რომელიც ვაქცინაციის მიმართულებით გვაქვს, არ უნდა შენელდეს. ამასთან, მოსახლეობას დროულად გავაცნობთ სამინისტროს წლევანდელი პროგრამები.

აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შუახევის განყოფილების ხელმძღვანელი **ფიქრია ჯუმუშაძე**: - სამედიცინო პერსონალი სრულად ჩართული ვართ ვაქცინაციის საქმეში. უკვე კარდაკარის პრინციპით დავიწყეთ აცრების ჩატარება. ექიმები, საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალი აქტიურადაა ჩართული კოვიდვაქცინაციის სქემაში. ყოველდღიურ რეჟიმში ვიღებთ სრულ ინფორმაციას ცალკეულ უბნებზეც კი ვაქცინაციის ჩატარების თაობაზე. სადღეისოდ დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი გვაქვს. ამინდის გაუარესებასთან დაკავშირებით თადარიგსაც ვიჭერთ.

ანალოგიური შეხვედრები ქედასა და სხვა მუნიციპალიტეტებშიც გაიმართება.

**დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93**

# კორპუსის ჩამონგრევის საქმეზე დაკავებულების ოჯახის წევრები ობიექტურ გამოძიებას მოითხოვენ, დაზარალებულები – დამნაშავეების დასჯას

***8 ოქტომბერს ბათუმში, 26 მაისის ქუჩის №13-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს ჩამონგრევის შედეგად ნანგრევებში 10 ადამიანი მოჰყვა, მათგან 9 დაიღუპა. ნგრევის საქმეზე სამი პირი 9 ოქტომბერს დააკავეს - მამა-შვილი სურმანიძეები და ბინის მფლობელი ზაურ ბუდაგოვი, რომელმაც ისინი სარემონტო სამუშაოებისთვის დაიქირავა. გუშინ ამ საქმეზე პირველი სასამართლო სხდომა გაიმართა, რომლის დაწყებამდე ბრალდებულ გიორგი და ხუსეინ სურმანიძეების ახლობლებმა აქცია გამართეს.*** ოჯახის წევრები საქმის ობიექტურად გამოძიებას ითხოვენ და აცხადებენ, რომ ექსპერტიზის დასკვნაში, რომელიც საქმეს დაერთო, მუშების დანაშაული და პასუხისმგებლობა არ იკვეთება.



სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, ნგრევა გამოიწვია პირველი სართულის მზიდი კედლების მოშლამ: „ბათუმში, 26 მაისის ქუჩის №13-ში მდებარე შენობის პირველი სადარბაზოს ნაწილის ჩამონგრევა გამოწვეულია არასათანადოდ და უსაფრთხოების წესების დარღვევით წარმოებული სარეკონსტრუქციო სამუშაოებით, კერძოდ, მზიდი კედლის დემონტაჟით პირველ სართულზე. „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს“. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ „საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოზე ეზოს მხრიდან დამონტაჟებული ლიფტი და მისი ფუნქციონირება არ არის კავშირში შენობის სადარბაზოს ნგრევასთან... დაშენება სადარბაზოს ნგრევაზე გავლენას არ მოახდენდა და სადარბაზოს ჩამონგრევის მიზეზს არ წარმოადგენს“

მამა-შვილის ოჯახის წევრები ამბობენ, რომ საქმის ობიექტური გამოძიებაა საჭირო, რადგან დაკავებული მუშები ბინის მეპატრონის მითითებით მუშაობდნენ.

ბრალდებული მუშების ადვოკატის მზია დიასამიძის განცხადებით, ექსპერტიზის დასკვნით, მუშების ბრალეულობა არ დგინდება და პასუხისმგებლობა ეკისრება სამუშაოების დამკვეთს. ისინი სასამართლოს შუამდგომლობით მიმართავენ, რომ დაკავებულები გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლონ.

როგორც პროკურორი ალექსანდრე ძირკვაძე აცხადებს: „ექსპერტიზით დადგინდა, რომ კორპუსის ჩამონგრევის მიზეზი პირველ სართულზე მზიდი კედლების დემონტაჟი გახდა. აღნიშნულ სამუშაოებს ორი პირი ასრულებდა, რომლებიც საქმეზე ბრალდებულები არიან. ბინის მეპატრონეს კი ევალებოდა სამუშაოების განხორციელებისას დაეცვა კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები. ბრალდებულ ზ.ბ-ს მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია 240-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც გულისხმობს სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოების წესების დარღვევას, რამაც ორი ან მეტი პირის გარდაცვალება და სხვა მძიმე შედეგები გამოიწვია. რაც შეეხება ხ.ს-ს და გ.ს-ს, მათ მიმართ, გამოძიება მიმდინარეობს ცხრა პირის სიცოცხლის მოსპობის, სხვისი ნივთის და ქონების განადგურების ფაქტებზე. არცერთი დაკავებული ბრალს არ აღიარებს, დაღუპულების ოჯახის წევრები კი აცხადებენ, რომ ყველა დამნაშავე უმკაცრესად უნდა დაისაჯოს.

**ანკა ჩხიკვაძე**

# რა გადაწყვეტილებები მიიღეს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე?

**ნათია იმნაიშვილი 27 48 93**

***ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, „ომიკრონის“ შტამის გავრცელება და ჰოსპიტალური სექტორის მზაობა - ეს საკითხები განიხილეს უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა***

აღინიშნა, რომ „ომიკრონის“ შტამს გავრცელების მაღალი სისწრაფე ახასიათებს, შესაბამისად, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების ნორმების ზედმიწევნით შესრულებას - პირბადის ტარებას, სოციალური დისტანციის დაცვას და ხალხმრავალი შეკრებების თავიდან აცილებას. ასევე ხაზი გაესვა ვაქცინაციისა და ე.წ. ბუსტერდოზებით აცრის მნიშვნელობას ვირუსით ინფიცირების შემთხვევაში დაავადების მსუბუქი მიმდინარეობისთვის. როგორც



ცნობილია, მთავრობის გადაწყვეტილებით, იანვრის ბოლომდე გრძელდება 200-ლარიანი წახალისების ღონისძიება და იმ პირთა ასაკმა, რომლებიც თანხას კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინით აცრის შემდეგ მიიღებენ, 50 წლამდე დაიწია.

კვლავ ძალაში რჩება საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაცია, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შენარჩუნდეს მუშაობის დისტანციური რეჟიმი როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებებში.

საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, რომ საკურორტო სეზონის გათვალისწინებით, გამოიკვეთა სამთო კურორტებზე ინფიცირების შემთხვევების მატების ტენდენცია, ამიტომ საბჭო კიდევ ერთხელ მოუწოდებს დამსვენებლებს, დაიცვან ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების ნორმები და ატარონ პირბადე, გაუფრთხილდნენ საკუთარ და ოჯახის წევრთა ჯანმრთელობას.

საკოორდინაციო საბჭომ ასევე იმსჯელა საერთაშორისო პროტოკოლის შესაბამისად საკარანტინო ვადების შემცირებასთან დაკავშირებით და ამ თემაზე შესაბამისი გადაწყვეტილებები უახლოეს დღეებში იქნება მიღებული.

# დამნაშავედ ცნეს და... სასჯელისგან გაათავისუფლეს

***2019 წლის 24 ივლისს მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს ბრალი წარუდგინეს ჯგუფურად 16 664 000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. რაც შეეხება ავთანდილ წერეთელს, პროკურატურა ბიზნესმენს უკანონო შემოსავლების ლეგალიზებაში ბადრი ჯაფარიძისა და მამუკა ხაზარაძის დახმარებას ედავებოდა.***

გუშინ სასამართლომ ბრალდებულები მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ავთანდილ წერეთელი დამნაშავედ ცნო, თუმცა მოსამართლემ სამივე მათგანს მუხლის კვალიფიკაცია შეუცვალა და ისინი ჯგუფურ თაღლითობაში ცნო დამნაშავედ. თითოეულ მათგანს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 7 წლის ვადით, მაგრამ მუხლის ხანდაზმულობის გამო ისინი დანიშნული სასჯელისგან გათავისუფლდნენ.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, მათ განესაზღვრათ გირაო და აეკრძალათ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებულების მიმართ შეფარდებული გირაო გაუქმდა, ასევე გაუქმდა დადებული ყადაღებიც.

იხ. მე-3 გვ.

# ინფრასტრუქტურული სამუშაოები – ხელვაჩაურში

**ნათია იმნაიშვილი 27 48 93**

***ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 28 ფერდსამაგრი ნაგებობისა და 21 გაბიონის მშენებლობა იგეგმება***

ფერდსამაგრების მშენებლობა და გაბიონების მოწყობა მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდება.

პარალელურად მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობის შესწავლა. აღნიშნული საკითხის სრულად შესწავლის შემდეგ, შეგროვდება დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დამატებით გამოცხადდება ტენდერი და დაიგეგმება ხელოვნური ნაგებობების სამშენებლო სამუშაოები.



# თხილის ნაჭუჭის „ბრიკეტების“ გაცემა დაიწყო

**ნათია იმნაიშვილი 27 48 93**

***ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში თხილის ნაჭუჭის „ბრიკეტების“ გაცემა დაიწყო, რომელიც მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 1000-დან 47 610-მდე ქულის მქონე სოციალურად დაუცველ 375 ოჯახს გადაეცემა***

როგორც მუნიციპალიტეტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, თითო ოჯახზე 1100კგ თხილის ნაჭუჭის „ბრიკეტია“ გათვალისწინებული.

მიზნობრივი პროგრამა „შეშის ჩანაცვლება თხილის ნაჭუჭის ბრიკეტით“ მერიის ბუნებრივი რესურსებისა და აგრარულ საკითხთა



სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით ხორციელდება.

ცნობისთვის, ერთი ტონა ბრიკეტი 4-კბ/მ შეშას ანაცვლებს.

# „ყაზახეთში სიტუაციის დასტაბილურება არა მარტო ჩვენს ქვეყანას, მთელ მსოფლიოს აძლევს ხელს“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ყაზახეთში განვითარებულ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გაზეთ „აჭარასთან“ საუბრობს პოლიტიკის ექსპერტი, პროფესორი* ***ედიშერ ჯაფარიძე.***

**- ბატონო ედიშერ, ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის ყაზახეთი შეიარაღების, კოსმოსური კვლევების მიმართულებით რუსეთთან ყველაზე მეტად იყო დაკავშირებული. ამ ქვეყანაში ეროვნებით ყაზახები 65 პროცენტზე ნაკლები არიან, ესეც ხომ არაა მიზეზი იმ დიდი ამბოხისა, რაც მსოფლიომ მიმდინარე წლის დასაწყისში იხილა?**

- ფაქტია, რომ რუსეთი ყაზახეთშია. ამის განმაპირობებელ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ისტორიული, ასევე, პოლიტიკური საფუძველი. კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ყაზახეთს ერგო კოსმონავტიკის ძირითადი ბაზა - ბაიკონურის კოსმოდრომი ქალაქ ბაიკონურში, რომელსაც გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა და სტატუსი. 2050 წლამდე რუსეთს იგი იჯარით აქვს აღებული და ეს ქალაქი, ფაქტობრივად, დღესაც რუსეთისთვის ფედერალური მნიშვნელობისაა. ასევე დავაზუსტებ, რომ დღეს ყაზახეთში 17 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს და აქედან 63,1 პროცენტი ეთნიკურად ყაზახია, 23.6 პროცენტი კი რუსი და ა.შ. ყაზახეთში დღემდე, ფაქტობრივად, მეორე ენა კვლავ რუსულია. ცნობილია, რომ ყაზახეთი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, განსაკუთრებით ნავთობით, ბუნებრივი აირით, ქვანახშირით, რკინის მადნით, ოქროს საბადოებით და სხვა. აღნიშნული რესურსები რუსეთის ინტერესებშიც შედის, განსაკუთრებით კი ბუნებრივი აირისა და ნავთობის უმსხვილესი კომპანიები, რომელიც მსოფლიო ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს.

**- ზოგიერთი ექსპერტი ამბოხში ნატოსა და მისი წევრი ქვეყნების, კერძოდ, აშშ-ის კვალსაც ხედავს, რამდენად მისაღებია ეს ბრალდება?**

- ყაზახეთში საომარი პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ამიტომ ამაზე საუბარი ნაადრევია, თუმცა რეგიონში, როცა საომარი მოქმედებებია, ყველას სურს ამ პროცესების დეესკალაცია.

**- რამდენად მისაღები იყო ყაზახეთის მოსახლეობისათვის ის რეჟიმი, რომელსაც კულტად ქცეული ნურსულთან ნაზარბაევი ატარებდა?**

- ნურსულთან ნაზარბაევის პრეზიდენტობა ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ერთ-ერთი ხანგრძლივი პერიოდულობით გამოირჩევა. ის ჯერ კიდევ 1990-1991 წლებში ერთადერთი მმართველი იყო, ხოლო 1991-დან 2019 წლამდე ყაზახეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელმაც მთლიანად 29-წლიანი საპრეზიდენტო მმართველობით დაამახსოვრა მსოფლიოს თავი. მართალია, ყაზახეთის მოსახლეობაში ერის ლიდერის ტიტული კი მოიპოვა, მაგრამ მისი მმართველობა ვერ გასცდა განვითარებადი დემოკრატიის ფარგლებს, რამაც დაამუხრუჭა ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარება. ყაზახეთის დამოუკიდებლობის (1990) გამოცხადების დღიდან, ქვეყანაში განვითარებადი დემოკრატიაა (ჩაკეტილობა, მოჩვენებითი დემოკრატია) და იგი საპრეზიდენტო რესპუბლიკას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ გამოვიდა ყაზახეთის მოსახლეობა გარეთ, რათა მომხდარიყო ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება (ნავთობზე ფასების დაწევა). მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, გამოსვლები შემდგომ გადაიზარდა საომარ მოქმედებებში (პოლიტიკურში), რაც განპირობებული იყო წლების განმავლობაში დაგროვილი ადგილობრივების უკმაყოფილებით არსებული რეჟიმის მიმართ და ეს მოულოდნელი არ ყოფილა. სამწუხაროდ, ამით ისარგებლა გარე ძალებმა, რომელმაც საბოლოოდ ქვეყანა მიიყვანა საომარ მდგომარეობამდე. ეს რომ ჩრდილოვანი მართვადი პროცესია დასტურდება იმითაც, რომ ქვეყანაში მიმდინარე გამოსვლებს და საპროტესტო აქციებს ამ დრომდე არ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც თავის თავზე აიღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და ჩადგება ყაზახი ხალხის სამსახურში.

**- განვითარებული მოვლენები, ადამიანთა მსხვერპლი ყაზახეთის ეკონომიკას, პოლიტიკურ სტაბილურობას საფუძველს ურყევს მსოფლიო ბაზრის გადანაწილებაში. იქ განვითარებული მოვლენები ჩინეთისა და რუსეთის პოზიციებზე რა გავლენას მოახდენს?**

- თუ დიდხანს გაგრძელდა პროცესი, ეს არა მარტო მათ პოზიციებზე, არამედ მთელ რეგიონზე მოახდენს დიდ გავლენას. დღეს მსოფლიოში სამი მოთამაშე იმყარებს პოზიციებს - ამერიკა, ჩინეთი და რუსეთი, რაც შეეხება ევროპას მას თავისი გასაჭირი აქვს და ჯერჯერობით მხოლოდ „შეშფოთებით“ შემოიფარგლება. ამიტომაც ეს პროცესები არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ კოლაფსს შექმნის როგორც რეგიონში, ასევე ზოგადად, მსოფლიოში, რადგან დღეს ეს აბსოლუტურად შესაძლებელია.

**- საქართველოში არსებული რამდენიმე სტრატეგიული ობიექტი ყაზახი ინვესტორების ან მათი პარტნიორების კუთვნილებაა, რაც კეთილმეზობლურ ურთიერთობებს ამყარებდა. რამდენად აძლევს ხელს ჩვენ ქვეყანას ყაზახეთში პოლიტიკური სიტუაციის დასტაბილურება?**

- დღეს ყაზახეთი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია და სიტუაციის დასტაბილურება არა მარტო ჩვენ ქვეყანას, არამედ მთელ მსოფლიოს აძლევს ხელს. რეგიონში არსებული საომარი ვითარება ჩვენზეც ცუდად აისახება, უკვე დავკარგეთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქე. უამრავი იქ მცხოვრები ქართველი ვერ ახერხებს იქიდან გამოსვლას, რომელიც მუშაობს და ქმნის როგორც ეკონომიკურ დოვლათს, ასევე ქართულ კულტურას უცხოეთში და ა.შ. რაც შეეხება საქართველოსა და ყაზახეთის ურთიერთობებს, იგი ორივე ქვეყნისთვის დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან იწყება. თავდაპირველად, ეს ურთიერთობები ძირითადად, დიპლომატიური ხასიათის იყო (1992 წლის 24 ივნისი), ახლა თანამშრომლობის ძირითად სფეროებს წარმოადგენს ენერგეტიკა, ტრანსპორტი, სატრანსპორტო პოლიტიკა და სოფლის მეურნეობა. ბოლო წლებში ყაზახეთი გახდა ერთ-ერთი მსხვილი ინვესტორი საქართველოში, რომლის ინვესტიციები წარმოდგენილია ენერგეტიკისა და ტურიზმის მიმართულებით, რამაც ქვეყანას მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მოუტანა. საქართველოს ყაზახეთთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა, აქვს და უნდა გაგრძელდეს კიდეც, რადგან ყაზახეთი დიდი რესურსების და შესაძლებლობის მქონე რეგიონია. კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება და განმტკიცება უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცესია.

**- დაბოლოს, რა არის გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან?**

- ჯერჯერობით, რაიმე გამოკვეთილ სცენარზე საუბარი ნამდვილად ნაადრევია, რადგან პროცესები ძალადობაზე დაფუძნებული სცენარისკენაა მიმართული. ამის რეალური მიზეზი ისაა, რომ აქტივისტებს არ ჰყავთ გამოკვეთილი ლიდერი, რომელიც მკაფიოდ დააყენებს რეალურ მოთხოვნებს და გამომსვლელებს გაუწევს ორგანიზებას. ამიტომ, დაველოდოთ მოვლენებს, ვნახოთ, რა სცენარით განვითარდება იგი მომავალში.



*,, დღეს მსოფლიოში სამი მოთამაშე იმყარებს პოზიციებს - ამერიკა, ჩინეთი და რუსეთი, რაც შეეხება ევროპას მას თავისი გასაჭირი აქვს და ჯერჯერობით მხოლოდ „შეშფოთებით“ შემოიფარგლება. ამიტომაც ეს პროცესები არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ კოლაფსს შექმნის როგორც რეგიონში, ასევე ზოგადად, მსოფლიოში, რადგან დღეს ეს აბსოლუტურად შესაძლებელია*

# დამნაშავედ ცნეს და... სასჯელისგან გაათავისუფლეს

მე-2 გვერდიდან

განაჩენის გამოცხადებისას მოსამართლემ მცირე განმარტება გააკეთა, თუ რატომ მოხდა მუხლის გადაკვალიფიცირება.

საქართველოს გენერალური პროკურატურა სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს გამოეხმაურა და განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამია, რომ „ბრალდების მხარე სასამართლოს დღევანდელ გადაწყვეტილებას კანონით დადგენილ ვადაში სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს“.



თავის მხრივ დანებებას არ აპირებენ არც ბრალდებულები. „ასეთი სასამართლოს და სამართლიანობის პირობებში ჩვენი ქვეყანა წინ ვერ წავა. ეს არის ერთი კაცის მიერ მართული სასამართლო და მართლმსაჯულება. პირადად ბიძინა ივანიშვილს მივმართავ, რომ ეს მმართველობა მისი ხელმძღვანელობით დამთავრდება იმიტომ, რომ ქართველი ხალხი ვერ შეეგუება ასეთ უსამართლო მართლმსაჯულებას ამ ქვეყანაში. სადაც არ არის სამართალი, იქ არ არის მშვიდობა. ამ ქვეყანაში არ იქნება მშვიდობა მანამ, სანამ თითოეულ მოქალაქეს არ ექნება იმის განცდა, რომ მის ღირსებებს და უფლებას იცავს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლო. ეს სამწლიანი მასკარადი არის ფარსი და კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ბრძოლა გაგრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ახლა საპყრობილეში არ მივდივართ, ამას გავასაჩივრებთ, ეს არის პრინციპის და ღირსების საკითხი“, - განაცხადა „ლელოს“ თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძემ სასამართლოს განაჩენის მოსმენის შემდეგ.

## უცხოეთი

ბრიუსელში ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა გაიმართა. ინფორმაციას „რია ნოვოსტი“ ავრცელებს. მხარეთა შორის განსახილველ საკითხებს შორის იყო ევროპის უსაფრთხოება, შეიარაღების კონტროლი და საფრთხეების შემცირება, ასევე, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხარჯზე ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებაზე უარის თქმა. მოლაპარაკებები დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა. დღეს კონსულტაციები ვენაში, ეუთოს მუდმივი საბჭოს ფორმატში გაიმართება.

* * *

2021 წლის იანვარში კაპიტოლიუმში მომხდარი არეულობა



იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, - ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა. ინფორმაციას „როიტერი“ ავრცელებს. „სასტიკი ბანდა, რომელსაც დამარცხებული ყოფილი პრეზიდენტი უჭერდა მხარს, 2021 წლის 6 იანვარს ძალადობით ცდილობდა იმის მიღებას, რაც დონალდ ტრამპმა დაკარგა არჩევნების მეშვეობით“, - აღნიშნა ბაიდენმა და დასძინა, რომ თავისი მომხრეები სახელმწიფო გადატრიალების მოსურნე ძალებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად შეკრიბა.

* * *

აშშ მიესალმება ყაზახეთის პრეზიდენტის განცხადებას კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის მისიის დასრულების შესახებ, - განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა ნედ პრაისმა უწყებაში გამართულ ბრიფინგზე. „ჩვენ კვლავაც მოვუწოდებთ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ყველა სამშვიდობო ძალას, პატივი სცენ ადამიანის უფლებებს და თავიანთი მოვალეობის შესრულების შემდეგ ოპერატიულად დატოვონ ყაზახეთი, როგორც ეს ითხოვა ქვეყნის ხელისუფლებამ“, - დასძინა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა.

* * *

არავის სჭირდება კონფლიქტი და მით უფრო - რუსეთს, - ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდმა ევროპის უსაფრთხოების თაობაზე კონსულტაციების პირველი რაუნდის შემდეგ განაცხადა. ინფორმაციას „ევრონიუსი“ ავრცელებს. მიუხედავად იმისა, კრემლი კატეგორიულად უარყოფს, უკრაინაში მიიჩნევენ, რომ რუსეთისგან საფრთხე რეალურად არსებობს. კიევში „ცივი ომის“ პერიოდში დასავლეთისგან თავდაცვის მიზნით მოწყობილ თავშესაფრებს არემონტებენ. „ომი 8 წელია გრძელდება. ვფიქრობ, ყველას უნდა შეეძლოს თუნდაც ერთი სახის იარაღის ხელში დაჭერა. ნატოს ქვეყნები არ აპირებენ ჩვენს გამო ბრძოლას. ასე რომ, ყველაფერი მიდის იქითკენ, ვართ თუ არა უკრაინელები მზად, დავიცვათ საკუთარი თავი“, - განაცხადა ერთ-ერთმა უკრაინელმა რეზერვისტმა „ევრონიუსთან“ საუბრისას.

# „ნაციონალები“ რომ არ დამშვიდდებიან, ყველამ ვიცით, არ შეუძლიათ წყნარად და სტაბილურად თანაცხოვრება“

ირმა ცეცხლაძე 27 48 93

*მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, პარტიების პოლარიზაციაზე, სააკაშვილისა და „ქართული ოცნების“ სინქრონიზაციაზე საუბრობს ჩვენთან ინტერვიუში პოლიტოლოგი* ***სოსო მანჯავიძე.***

**- ბატონო სოსო, სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ ძალიან ბევრი ვერსია გაჟღერდა. რას ფიქრობთ, რატომ ჩაიგდო თავი საფრთხეში?**

- მართლაც ბევრი მოსაზრება გამოითქვა ამ ფაქტის შესახებ, თუმცა ძირითადი არის ის, რომ გამრუდებული წარმოდგენა ჰქონდა საქართველოში არსებულ ვითარებაზე თავისივე მედია-საშუალებებიდან.

**- ისე დაიჯერა, რომ არც გადაამოწმა?**

- მსგავსი ტიპის ილუზიების შექმნა ახასიათებს ადამიანს, ანუ ისმენს და იჯერებს იმას, რისი მოსმენა და გაგებაც სურს, რაც შემდეგ გამოიხატება დაუფიქრებელ, საფრთხის შემცველ მოქმედებებში. ყველაფერს ერთად კი მოაქვს მძიმე შედეგი. მსგავსი მაგალითები ბევრია ისტორიაში. ცუდი ამბის მომტანს თავსაც კი ჭრიდნენ. როდესაც რუსებმა ოდერი გადალახეს და ფიურერს შეატყობინეს ამის შესახებ, იმის ნაცვლად, რაიმე ქმედება განეხორციელებინა, რამდენიმესაათიანი ისტერია ჰქონდა. სააკაშვილის აქ ჩამოსვლის მეორე მიზეზია - „თავსახურავის“ თამაშები. ვიღაცას უნდა სააკაშვილი დამოკლეს მახვილივით ეკიდოს საქართველოს პოლიტიკური სივრცის თავზე, რათა მორჩილი ვიყოთ გარკვეული ინსტრუქციების მიმართ. ასეთი ადამიანებისთვის სააკაშვილის პირადი ბედი საინტერესო არ არის, ანუ იმდენად არის მათთვის ღირებული, რამდენადაც შეუძლიათ მისი გამოიყენება.

**- მერე, გამოადგათ?**

- კი, გამოადგათ, ვინაიდან, გარკვეული ტიპის ზემოქმედება ნამდვილად იქონია საქართველოს ხელისუფლებასა და მათ შორის, არჩევნების შედეგებზეც. საქართველოს ხელისუფლებასაც გარკვეულ შემთხვევაში, ხელს აძლევდა ექსპრეზიდენტის ჩამოსვლა. შესაძლოა, არ გეგმავდა და ინსპირირება არ მოუწყვია, მაგრამ თამაშში როდესაც ჩაერთო, რა თქმა უნდა, თავის სასარგებლოდ გამოიყენა, ანუ საკუთარი მომხრეების კონსოლიდაციისთვის. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მიშას ექსცენტრიული ხასიათიც და ილუზიებში ფრენა. არ უნდა დავივიწყოთ მისი მომხრეების სურვილი, ლიდერისთვის ისე წარმოეჩინათ რეალობა, რომ მათი როლი გაზვიადებულიყო და მის წინაშე ქულები დაეწერათ, მით უმეტეს, რომ ის დღემდე აფინანსებს მათ და გარკვეულ ანგარიშგებას, ცხადია, ელის. ენმ-ს სააკაშვილი აქამდე მიაჩნია ცოცხალ ღვთაებად და როგორ შეკადრებდნენ ილუზიების დამსხვრევას.

**- სააკაშვილის ჩამოსვლამ დააზიანა თუ უშველა „ქართული ოცნების“ მოლოდინებს?**

- ფაქტია, რომ მისმა ვიზიტმა აშკარად გამოიწვია საზოგადოების პოლარიზება. მომხრეების კონსოლიდაცია მოხდა ორივე ბანაკში და ორპოლუსიანი დარჩა საარჩევნო სივრცე, გახარიას ეფემერულ, კომეტისებურ შემოჭრას და გაუჩინარებას თუ არ გავითვალისწინებთ.

**- რას ფიქრობთ გახარიას შესახებ, მაინც ვისი სატელიტია, ორივე პოლიტიკური ძალა ერთმანეთს აბრალებს.**

- ჩემი აზრით, გახარია არც ერთის სატელიტი არ არის. შეეცადა წამოეწყო საკუთარი თამაში, თუმცა მრავალი მიზეზის გამო არ გამოუვიდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ პოლიტიკური ფიგურა არ გახლდათ, ის ფუნქციონერია და არ გააჩნია პოლიტიკური გამოცდილება. მეორე - ყველაფერს აქვს თავისი დრო. მაგალითად, დრო აქვს ბავშვის დაბადებას. სხვადასხვა ბიოლოგიურ არსებებში, ადამიანი იქნება, მტრედი თუ სპილო, გარკვეული რიტმი აქვს ჩასახვას, განვითარებას, დაბადებას. იგივე ეტაპები აქვს პოლიტიკურ ოპოზიციონერად ჩამოყალიბებას. გახარია, პრაქტიკულად, ხელმძღვანელობდა „ქართულ ოცნებას“, იყო პრემიერ-მინისტრი, მანამდე შინაგან საქმეთა, ეკონომიკის, ომბუდსმენი ანუ თავის თავში განასხეულებდა მმართველ გუნდს. შემდეგ კი, ისე უცებ ალაპარაკდა თავის საოცარ მეწყვილესთან, მეზვრიშვილთან ერთად, ვერ მიხვდებოდი, გახარია იყო თუ დავუშვათ, ბობოხიძე. ანუ ის ვერ ჩამოყალიბდა, ჩანასახში მყოფმა, რამდენიმე თვით ადრე სცადა დაბადება, რამაც, ცხადია, ვერ გაამართლა.

**- და თქვენ ფიქრობთ, აღარ გამოჩნდება პოლიტიკურ სივრცეში?**

- არ ვიცი, თანაპარტიელები ხელოვნურ ინკუბაციაში თუ მოათავსებენ და ხელს შეუწყობენ მის განვითარებას, შესაძლოა ვიხილოთ უკვე ჩამოყალიბებული ოპოზიციონერი. საერთოდ, ქართულ სივრცეში მოშლილია ოპოზიციონერი პოლიტიკოსის შეფასების კრიტერიუმების მექანიზმი. აქ პოლიტიკოსზე მსჯელობენ არა მისი ცოდნით, გამოცდილებით, სამოქმედო გეგმით თუ ქარიზმით, არამედ, მაგალითად, როგორ ჩააპაჭუნა თვალი, როგორ იჩხუბა, როგორ ყვირის, ილანძღება და სხვა, რაც არ არის ქვეყნის წინსვლა-განვითარებისთვის ხელშემწყობი ფაქტორი.

**- რას ფიქრობთ ექსპრეზიდენტის მიერ ხელოვნურად შექმნილ აჟიოტაჟზე საკუთარ შიმშილობასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებით? თქვენ თქვით, რომ ის დგას კანონზე მაღლა - რას გულისხმობდით?**

- ის სრული სიგიჟე, რაც მოაწყვეს გამოქცეულმა სააკაშვილმა, მისმა მომხრეებმა და საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა, შესატანია მასობრივი ფსიქოზის ანთოლოგიაში. ამ ადამიანებზე არანაირი მეცნიერული არგუმენტები, ფაქტები და ბიოლოგიური თავისებურებების მტკიცებულებები არ მოქმედებს. მაგალითად, არსებობენ ხვლიკები, რომლებსაც აქვთ გაყინვის და საკვების გარეშე გაძლების უნარი, 50 დღის შემდეგ კი შეუძლიათ, ბუნებრივად აღიდგინონ სასიცოცხლო პროცესები. ან გაიხსენეთ დათვები, რომლებიც მოიმარაგებენ საკვებს და გამოიზამთრებენ ბუნაგში, სადაც ზამთრის ძილში ვარდებიან. სააკაშვილის მითიური შიმშილობა ადამიანის ბიოლოგიურ შესაძლებლობებს გასცდა. თანაც, როგორც ნახეთ, მშრალი შიმშილობის შემდეგაც კი, შესძლო მედგარი წინააღმდეგობის გაწევა, როდესაც გლდანის მე-18 სამკურნალო დაეწესებულებაში გადაჰყავდათ. აქაც ჩანს მისი ზებუნებრივი მონაცემები, რადგან, რიგით მოკვდავს, ასეთ მდგომარეობაში (შიმშილობას ვგულისხმობ) არათუ ჩხუბის, განძრევის და საწოლიდან თავის წამოწევის ფიზიკური შესაძლებლობაც კი არ აქვს. პრინციპში, არსებობენ ადამიანები, მაგალითად იოგები, უდაბნოს ბერები, რომლებიც არ იკვებებიან და სულ სხვა ენერგიებით საზრდოობენ. ერთი იოგი ვიცი, 25 წლიდან 85 წლამდე არაფერი უჭამია და განაცხადა, რომ იკვებება მზის შეუნივთებელი ენერგიით. სიმართლე გითხრათ, მაქვს ეჭვი, რომ მიხეილ სააკაშვილი არ არის იოგი, არც მისი შეგირდი ყოფილა. ვერც მზის შეუნივთებელ ენერგიას აქცევს ხზოს პაშტეტად, რაც გამორიცხავს მის იოგობას. რაოდენ გულსატკენიც არ უნდა იყოს ამ „ღვთაების“ მიმდევრებისთვის, მიშა ჩვეულებრივი ადამიანია, შეზღუდული ბიოლოგიური მონაცემებით, რაც ამტკიცებს, რომ მისი 50-დღიანი შიმშილობა ფიქცია იყო. უბრალოდ, გასაკვირია რეაქციები, მეტი არაფერი, თორემ იგივე ტემპებით, სააკაშვილი ჩარლზ ჰაიდერივით კიდევ 178 დღეს რომ იშიმშილებს, ეჭვიც არ მეპარება.

**- მისმა მომხრეებმა, ლიდერისგან განსხვავებით, ვერ შეძლეს ხანგრძლივი შიმშილობა...**

- ისეთ ეპოქაში ვიმყოფებით, სადაც პირადი ცხოვრების დამალვაც კი შეუძლებელია, ისე არის ყველა სივრცე გადატენილი გადამღები და მოსასმენი აპარატურით. ზოგადად, შიმშილობა, ნების გამოხატვის აქტია. ძალიან ცოტას შეუძლია დიდი ხნის განმავლობაში შიმშილი. ისიც კარგად იცოდნენ, ის კარვები სუს-ის თვალთვალის ქვეშ რომ იქნებოდა ონლაინ-რეჟიმში. როგორ გეკადრებათ, ბატონო სოსო, ეს როგორ თქვით ჩვენზე, დემოკრატიული სახელმწიფო ვართო, მეტყვიან, მაგრამ მე ხომ არაფერს ვამტკიცებ, ამის გონივრული ეჭვი მაქვს. ჰოდა, რომ მოშივდათ, ვერც ჭამეს და ვერც ამ თავგადადებული აქციის შედეგი ნახეს, აჟიოტაჟიც არ მოჰყვა მათ „გმირობას“, რომ გამხნევებულიყვნენ და... მათ დაბინდულ გონებაშიც შეაღწია საღი აზრის სინათლემ, შეწყვიტეს შიმშილობა და საახალწლო სუფრასთან ქართული კერძების მრავალფეროვნებით დატკბნენ.

**- ახლა ჩამოაყალიბეს „მიშას სექტორი“, რომელმაც დაუმორჩილებლობის ჯგუფების შექმნა დააანონსა. რას შეძლებენ ენმ-ის წევრები და რას მოიმოქმედებს ხელისუფლება?**

- ოოო, სახელია მთავარი! თუკი „დაუმორჩილებლობის ჯგუფებს“ დაარქმევენ საკუთარი წევრების თავყრილობებს, მაშინ ხომ მიაღწევენ პოლიტიკურ მიზანს... აქამდე, როგორც ჩანს, სწორი სახელი არ ჰქონდათ შერჩეული და იმიტომ რჩებოდნენ ხელმოცარულები. ახლა კი ახალი სახელით შეუტევენ „ქართულ ოცნებას“ და მორალურად დაანგრევენ... თუ არ დაგემორჩილებიან, დაინგრევი მორალურად, აბა რა!..

**- ვადამდელი არჩევნების დანიშვნამდე ენმ არ დამშვიდდება. წავა ხელისუფლება ამ ნაბიჯზე თუ არჩევნების გარეშე მშვიდობიან სამ წელს ამჯობინებს?**

- „ნაციონალები“ რომ არ დამშვიდდებიან, ყველამ ვიცით, არ შეუძლიათ წყნარად და სტაბილურად თანაცხოვრება და იმიტომ. გიჟი დამშვიდებული გინახავთ დამამშვიდებელი ნემსის გარეშე? საერთოდ, ყველა მათი ნაბიჯი ფსიქიკურად დაავადებული ადამიანების ნამოქმედარს ჰგავს. სააკაშვილის ჩამოსვლის ერთ-ერთი ძირითადი შედეგი ისიც იყო, რომ კარგად გამოჩნდა ჩვენი საზოგადოების მორალურად მერყევი, არამდგრადი სახე. მის ჩამოსვლას პოლიტიკოსთა და ანალიტიკოსთა წრეებში წინ უძღოდა ინფორმაცია, მიშა ჩამოდის და ხელისუფლება შეიცვლებაო... მოულოდნელად, ისეთმა ადამიანებმა იცვალეს ფერი და გადაბარგდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარეს, რომ ბევრი გაკვირვებული დარჩა. როდესაც მიშას ჩამოსვლამ ვერ მისცა მათ მოსალოდნელი შედეგი, ისინი მოტყუებულნი აღმოჩნდნენ. დაიწყეს საკუთარი ქცევის გასამართლებელი არგუმენტების ძიება, თითქოს არასწორად გავუგეთ და სხვ. ზოგიერთმა სააკაშვილის ლანძღვაც კი დაიწყო. ამის მიუხედავად, ყველამ დაინახა მათი ჭეშმარიტი ბუნება და სახე. ანუ გამოვლინდა ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური ელიტის ნაწილის სრული უპრინციპობა და უზნეობა.

**- რა ნაბიჯს ელოდებით „ქართული ოცნებისგან“ სააკაშვილთან დამოკიდებულებაში?**

- საერთოდ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ არსებობა აწყობს „ქართულ ოცნებას“, რადგან სანამ იარსებებს „ნაციონალების“ წინააღმდეგ პროტესტი, მანამ ქვეყანაში რეალური კონკურენტუნარიანი პოლიტიკური ძალა ვერ ჩამოყალიბდება. შესაბამისად, ვირთხებს რომ მჩხავანა კატას დაუკიდებენ, ისე სჭირდება მმართველ გუნდს სააკაშვილი. ამიტომ ჰყავთ საჯაროდ გამოკიდებული და ეყოლებათ მანამ, სანამ ამის საჭიროება იქნება. ამავე დროს, დასავლეთიდანაც არ ჩანს ისეთი მხარდაჭერა, როგორზეც იმედებს ამყარებდა ექსპრეზიდენტი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან დასავლეთს ახლა სულ სხვა პრობლემები აქვს ჩვენთან მიმართებაში, დამთავრდა საკმაოდ დაძაბული მოლაპარაკებების პირველი რაუნდი ჟენევაში და საერთოდ, გაურკვეველია საქართველოს გეოპოლიტიკური მომავალი. ამ ფონზე, სააკაშვილის მომხრეების ყალბი განცხადებები მისი წამების და ჯანმრთელობის გაუარესების თაობაზე იმდენად არასერიოზულია, რომ უკვე ყველა დარწმუნდა - აბსურდის თეატრთან აქვთ საქმე და აღარც უღრმავდებიან. დასავლეთში დაეცა მიშას მიმართ სიმპათიები, რადგან იციან, რეალურად რაც ხდება იგივე სამკურნალო თუ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

**- თუ შეგიძლიათ გაიხსენოთ, რეალურად რა ხდებოდა სააკაშვილისდროინდელ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში?**

- ძალიან ცოტა ადამიანმა იცის, რეალურად რა ხდებოდა იქ. მე ვარ ერთ-ერთი მათგანი. ეს იყო ჩვეულებრივი ტერორისტული სახელმწიფო, რომელშიც პატიმრობა, წამება და წამების შიში, გაუპატიურება და გაუპატიურების შიში, გამოიყენებოდა პოლიტიკური ინტერესებისთვის და მოსახლეობის დასამორჩილებლად. ყველამ იცის ინფორმაცია, რომელიც მათ შორის, ჩემი უშუალო მონაწილეობით გასაჯაროვდა ციხეებიდან. ამ ფონზე, როდესაც „ნაციონალები“ საუბრობენ წამებაზე, გაუგებარია, რა წამებას გულისხმობენ. კომედიაა, აბა რა არის, რომელიც ტრაგედიად იქცევა და საბოლოოდ ფარსად ყალიბდება.

**- რა გზას უნდა დაადგეს ამ დროს „ქართული ოცნება“?**

- კეთილი ინებოს და ნუ ეთამაშება, გაასაჯაროოს მიშას შიმშილობის რეალური კადრები, რათა აღარ დარჩეს არავის კითხვის ნიშანი. გარდა ამისა, გამოაქვეყნონ ის ფაქტები, რომლებიც ხელთა აქვთ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიმსხვრეს მითი სააკაშვილის შესახებ. მაგალითად, ნიურნბერგის პროცესზე გერინგი რომ გამოდიოდა, განაცხადეს, „ჩამოხსენით ნიღაბი გერინგს“. აი, ეს უნდა მოხდეს საქართველოში, რომ საბოლოოდ დასრულდეს ამ ავადმყოფების მითების ტირაჟირება მათ მიერვე შექმნილ ტელევიზიებში, რაც მთავარ პრობლემად გადაგვექცა. რაც შეეხება „ოცნებას“, მისი შეცდომები არ უნდა იყოს მიბმული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ნარატივთან, ოპოზიციამ მმართველი გუნდი უნდა გააკრიტიკოს ისე, როგორც იმსახურებს. ესაა მთავარი, რაც ბოლოს და ბოლოს, უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოში.



*„ გამოაქვეყნონ ის ფაქტები, რომლებიც ხელთა აქვთ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიმსხვრეს მითი სააკაშვილის შესახებ. მაგალითად, ნიურნბერგის პროცესზე გერინგი რომ გამოდიოდა, განაცხადეს, „ჩამოხსენით ნიღაბი გერინგს“. აი, ეს უნდა მოხდეს საქართველოში, რომ საბოლოოდ დასრულდეს ამ ავადმყოფების მითების ტირაჟირება მათ მიერვე შექმნილ ტელევიზიებში, რაც მთავარ პრობლემად გადაგვექცა*

# გაბავშვებული ჟურნალისტების არაბავშვური საახალწლო სურვილები

*შობა-ახალი წელი ყველაზე კაშკაშა, სიხარულითა და იმედებით სავსე დღესასწაულია ადამიანების უმრავლესობისთვის. როგორი დაღლილებიც უნდა ვიყოთ ყოველდღიური ფორიაქით, მოვალეობებით თუ პრობლემებით, წინასაახალწლო დღეებში აბრდღვიალებულ ნაძვის ხეს, ქუჩაში აციმციმებულ ფერად განათებებს და რაც მთავარია, რაღაც ახლის, თითქოს ჯადოსნური წუთების მოლოდინს თავისი გააქვს და ძალაუნებურად განწყობაც გვიმაღლდება, უკეთესი მომავლის იმედიც გვიჩნდება და საკუთარ თავში ახალ ძალებსაც აღმოვაჩენთ, რომ უკეთ ვიცხოვროთ, უკეთესები გავხდეთ, მეტი გავაკეთოთ საკუთარი ოჯახისა და სხვებისთვისაც*

*ეს პატარა საახალწლო აღტკინება რომ ჩაივლის, შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რა ბავშვობა და სისულელეა, რომ კიდევ გვჯერა სასწაულების, იმედების ასრულების, ოცნებების ახდენის... პირველი ნამდვილადაა, მაგრამ მეორის რა მოგახსენოთ. სისულელე როგორ იქნება ცოტა ხნით მაინც ფერად ბავშვობაში დაბრუნება, მართალია, თოვლის ბაბუს მოტანილი საჩუქრების უკვე ველარ, მაგრამ საკუთარი ძალების დაჯერება, იმ საოცარი წუთების კვლავ განცდა, როცა ხვდები, რაღაც მაგიურის მოწმე ხდები ძველი და ახალი წლის გასაყარზე?! ამ დროს თითქოს ცის კარიც იღება და უფლის გულისყური ჩვენი სურვილებისა და ოცნებების ასახდენადაა მომზადებული... თანაც არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სულში ბავშვები მუდამ ცხოვრობენ, უბრალოდ, მათ ხანდახან ვაძლევთ თავის გამომჟღავნების საშუალებას, უმეტესად კი არა... ხომ გესმით, სისულელედ რომ არ ჩაგვითვალონ! არადა, ზოგჯერ გუბეებში ფეხების ტყაპუნიც გვენატრება, ცხელ ზაფხულში შადრევანში ბანაობაც, ბურთის თამაშიც და დაჭერობანაც.*

*სწორედ ამიტომ ის ჟურნალისტები, რომელთა წერილებს თუ ინფორმაციებს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მთელ წელი (არაერთი) ეცნობოდით, დღეს ბავშვობის ფოტოების თანხლებით გაგიზიარებენ თავიანთ სურვილებს და ოცნებებს. ისე მოხდა, რომ პირველი იანვრის - საახალწლო ნომერი არ დაიბეჭდა. გადავწყვიტეთ ეს საახალწლო სურვილები ძველით ახალ წელს მაინც გამოგვემზეურებინა, მართლმადიდებლური სამყაროსთვის, მით უფრო საქართველოსთვის, ხომ სწორედ ძველით ახალი წელია ნამდვილი დღესასწაული. ფაქტი და ჭეშმარიტება კი ისაა, რომ ამ გულწრფელი სურვილების ახდენა მთელი სამყაროსთვის იქნებოდა სასარგებლო.*

**მანანა ძიძიშვილი**

ჩემი ოჯახი სულ ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ.... სიმღერის თავი მუდამ მქონდა. სიმღერა ჩემთვის ყველაფერი იყო, ვმღეროდი ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობა მომეცემოდა... სმენაც „გუუქანებელი“ მაჩუქა ღმერთმა და როგორც ამბობენ, სასიამოვნო ხმაც... ოჯახში დედაც არაჩვეულებრივად მღეროდა სამივე ხმაში და მამაც... ვერ შემიყვანა დედამ მუსიკალურში, ჰოდა... ეს გულისტკივილი მუდამ თან დამყვება... ეს ოცნება დამრჩა განუხორციელებელი... თქვენ გულთან არ მიიტანოთ, ამას აღარაფერი ეშველება. რას ვისურვებ ჩემი ქალაქისთვის? გონიერ არქიტექტორს, უმაღლესი კლასის პროფესიონალს, ჭეშმარიტ ბათუმელს, აქ დაბადებულსა და გაზრდილს, რომელსაც გულით ეყვარება საკუთარი ქალაქი (გონიერი ხელმძღვანელი ყველგან საჭიროა, უნიჭო თავის დონემდე დაიყვანს ყველაფერს...) და ყველას შეაგნებინებს, რომ... ბევრი „რომ“ მაქვს სათქმელი... მათ



შორის ის, რომ ვიწრო ქუჩაზე მაღლივის აშენების ნება არ უნდა გასცე, რომ ტროტუარი ფეხით მოსიარულეს ეკუთვნის და არა მის მიმტაცებლებს, რომ ძველი ბათუმი, ბულვარი, ლამაზი შენობა-ნაგებობა ხელშეუხებელია და შენი ფულის კეთებისთვის სხვა არ უნდა დააზარალო...

დავბერდი, მაგრამ ვერ ვეღირსე, რომ „ამისტი“ და „იმისტი“ კი არა, „საქართველოისტი“ მომრავლებულიყოს ქვეყანაში. სამშობლოსთვის მიგვეხედოს როგორც საჭიროა და აქციები, შიმშილობა, პროტესტები და მისთანები მხოლოდ საქართველოს დასაცავად გამოგვეყენებინოს... ჰოო, კიდევ, დეპუტატებს სამი გაცდენის შემდეგ (არასაპატიო მიზეზით) კანონით დეპუტატობას ჩამოვართმევდი... დამნაშავე ათი წლის შემდეგ კი არა, დანაშაულის ჩადენისთანავე გაესამართლებინოთ...

**ოთარ ცინარიძე**

საახალწლოდ ვინატრებდი: ბავშვობისდროინდელ სიხალისეს, უდარდელობას, სტუდენტობისდროინდელ მადას, ცნობისმოყვარეობას, წიგნების კითხვას, მყუდრო ოჯახს, ჯანმრთელობას, გაწეული ღვაწლის დაფასებას.

ვისურვებდი: ხიჭაურის დასახლების დაბად გადაკეთებას, დაბა შუახევში სამედიცინო ობიექტის სრული დატვირთვით ამოქმედებას, კონკურსში გამარჯვებული მეწარმეების, ფირმების მიერ აღებული ობიექტების დროულ ვადებში და ხარისხიანად დასრულებას, აჭარის მთიანეთში საჰაერო მიმოსვლის რეგულარულად დაწესებას, ყველა სოფელში ბიბლიოთეკებისა და კლუბების გახსნა-ამოქმედებას, დაცარიელებული სოფლების გაცოცხლებას, წელიწადის ოთხივე დროში გოდერძის უღელტეხილზე სატრანსპორტო მიმოსვლას, აჭარის მთიანეთში არსებული მატერიალურ-კულტურული და ისტორიული ძეგლების დაცვა-შენარჩუნებას, მთა ღომას ტურისტული პოტენციალის ქვეყნის სამსახურში ჩაყენებას. სახალხო, საღვთო და საერო დღესასწაულებისთვის ადრინდელი ხიბლის დაბრუნებას, მლიქვნელი, პირმოთნე ადამიანების გამოსწორებას, კარიერიზმისა და ბოროტების გაქრობას, ეროვნული ადათ-წესებისადმი სათანადო მოკრძალებას, ღალატით, ქართული მიწის დასაკუთრებისთვის მოსული ინვესტორების სანაგვეში გადაძახებას! ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, სამშობლოს ნატრული არ გამხადო და რომ გარდავიცვლები, ქართულ მიწაზე სასაფლაო საძებარი არ მქონდეს.



**ირმა ცეცხლაძე**

ისეთი წელი დაგვბედებოდეს, ქართველების ღიმილი აცისკროვნებდეს ზეცას, თეთრი გიორგის მადლი დაჰფენოდეს ღვთისმშობლის კუთვნილ მიწას, საქართველოს ხიბლი ამოდუღდეს ზღვიდან!

ისეთი წელი დაგვბედებოდეს, მარადისობის კანონი ამოქმედებულიყოს, ოქროს საწმისი დაგვბრუნებოდეს და ბაზალეთის ფსკერზე მივიწყებული ოქროს აკვანი ერის სამსახურში ჩამდგარიყოს! ისეთი წელი დაგვბედებოდეს, ლაზარე - ენა ქართული გაცოც-



ხლებულიყოს და მსოფლიო გადაერჩინოს. ქართული ხიბლის სადღეგრძელო ეთქვას კაცობრიობას ქართული ღვინით, ვაჟკაცი კაცობდეს, ქალი მანდილს უფრთხილდებოდეს, უცხოეთში გაბნეული ქართველები კვლავ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას დაბრუნებოდნენ! ისეთი წელი დაგვბედებოდეს, ამაყი ერი კვლავ აღმდგარიყოს, სიმშვიდის ფსკერიდან ამოფერებული სიყვარული გაძლიერებულიყოს და ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაგებულიყოს!

ახალ წელს გილოცავ, საქართველო!

**ლაშა ხომერიკი**

სურვილები ბევრი მაქვს, როგორც პირადი, ასევე საქვეყნო... მინდა ერთ დღეს გავიღვიძო ბედნიერი ადამიანების გარემოცვაში. ღმერთო, ამარიდე ფარისეველი ადამიანები, მოჩვენებითი, ყალბი ღიმილებით. კიდევ? სიამოვნებით დავემგზავრებოდი ილონ მასკს მარსზე. დიახ, კოსმოსში მსურს გამგზავრება.

ბათუმის ქუჩებში რომ გავივლი, მინდა ჩაბეტონებულ ქალაქს არ ვუყურებდე, ქვეყანაში კი ბოლოს და ბოლოს პოლიტიკურმა სტაბილურობამ დაისადგუროს,



მოსახლეობის კეთილდღეობაზე იზრუნონ, ვისაც ეს ევალება. რა თქმა უნდა, ვინატრებდი, მომდევნო წელს გადაიდგას მნიშვნელოვანი ნაბიჯები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანების თვალსაზრისით, ასევე - ქვეყნად სუფევდეს მშვიდობა და სიყვარული. და კიდევ, გასათხოვრებს გათხოვებას, დასაქორწინებლებს კი დაქორწინებას ვუსურვებ.

**ირინა ბურკაძე**

ახალ წელს გილოცავთ! ყველას გისურვებთ ძალ-ღონეს, გამბედაობას, დამოუკიდებლობას, კრეატიულობას, ჰარმონიას, სილამაზეს, ჯანმრთელობას, ყველა სურვილის ასრულებას. იყავით შთამბეჭდავები, მხიარულები, სიყვარულის ობიექტები, ფულიანები, ხშირად გაიღიმეთ. დაე, ეს წელი დაგამახსოვრდეთ უბედნიერესი მომენტებით, დაუვიწყარი შეხვედრებით, სასიკეთო სიახლეებით, მეგობრებთან ურთიერთობით და რაც მთავარია - უახლოესი ადამიანების გვერდით ყოფნით. ახალ მიღწევებს და გამარჯვებებს გისურვებთ, მხოლოდ წინ იარეთ, უკან არ მოიხედოთ. თქვენი ჩაფიქრებული ყველა სურვილი წელს აუცილებლად ახდება.

დაე, ეს წელი სავსე იყოს სასიხარულო მოვლენებით და ბრწყინვალე წარმატებებით! დაე, თქვ-



ენს სულში დღესასწაულისა და ბედნიერების გრძნობამ მუდმივად დაისადგუროს! ეს წელი გახდეს ყულაბა, სადაც მოაგროვებთ თქვენს წარმატებებსა და გამარჯვებებს, ბედნიერებას და სიხარულს, სასიამოვნო შეხვედრებსა და თავბრუდამხვევ თავგადასავლებს. დაე, ეს წელი იმდენად არაჩვეულებრივი, ჯადოსნური და დასამახსოვრებელი იყოს, რომ წლების შემდეგაც იხსენებდეთ ბედნიერების განცდით. და კიდევ, ამ წელს მოეტანოს ბევრი ცვლილება, კაშკაშა მოვლენები, დაუვიწყარი შთაბეჭდილებები, ახალი ურთიერთობები.

ჯანმრთელობას, წარმატებას, გამართლებას, იდეების უსასრულო ნაკადს და მათ რეალიზებას ვუსურვებ ყველა ჩემს თანამოკალმეს გაზეთ „აჭარასა“ და „ადჟარიაში“ - მუდამ თანამოაზრეებითა და ერთგული მეგობრებით ყოფილიყვნენ გარემოცულნი, ყველაზე ძლიერი და ნათელი სიყვარულით ეცხოვროთ, მათი ოჯახები კი ყველაზე მტკიცე და საიმედო იყოს!

მე ბათუმში დავიბადე და გავიზარდე, იგი ყოველთვის ასეთი მიმზიდველი ყოფილიყოს - ყველაზე უკეთესი ქალაქი დედამიწაზე.

**მანანა ტაკიძე**

2022 წელს ყველას ვუსურვებ პირბადისა და კორონავირუსის გარეშე ცხოვრებას, ირგვლივ - ნაკლებ აგრესიას და ბოღმას, ბედნიერებას, ჯანმრთელობას და საყვარელი ადამიანებით ტკბობას,

ბათუმს - გენგეგმის შექმნას და ქალაქის განაშენიანების პრობლემის მოგვარებას. ქაოსური მშენებლობების შეჩერებას და გას-



ული საუკუნის ქალქის სიმყუდროვის დაბრუნებას, რაც ასე ხიბლავდა ყველას.

**ხატია იაშვილი**

მინდა 2022 წელი იყოს სასიხარულო მოულოდნელობით აღსავსე, ყველა ოჯახს ხვავი და ბარაქა არ მოაკლდეს, ყოველი დილა



სიყვარულით გაგვთენებოდეს. გვეფიქროს მომავალზე და არ დავღლილიყავით ყოველდღიური ყოფითი პრობლემებით. რაც მთავარია, პანდემია წარსულს ჩავაბაროთ და გავაგრძელოთ ადამიანური ცხოვრება ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. გვეხაროს ერთმანეთის წარმატებით. ქვეყნის აღმშენებლობის წელი დამდგარიყოს.

**ლოლა ტუმასიანი**

ბავშვობიდან ყველაზე მეტად ახალი წლის დადგომას ველოდები, რადგან სულ მჯეროდა, რომ სწორედ ამ დროს ახდება სანუკვარი ოცნებები და სურვილები. ახლაც, როგორც პატარაობაში, მჯერა, რომ ყველას აუსრულდება ნატვრა. მინდა ვიყოთ ჯანმრთელები და ადამიანურები, მინდა, პატარები არ ითხოვდნენ შემწეობას და მოხუცები თბილ და მზრუნველ ოჯახებში ცხოვრობდნენ. მინდა, იყოს სიმშვიდე და სუფევდეს სიყვარული, სიყვარული, რომელიც აგვისრულებს ყველა ოცნებას!!! საქართველო ხომ სიყვარულის და ოცნებების ქვეყანაა, ქვეყანა,



რომელშიც სხვადასხვა ერის შვილები, სხვადასხვა მრწამსის ადამიანები მეგობრულად ცხოვრობენ და მათი უმთავრესი სურვილია ჩვენს საყვარელ საქართველოში მშვიდობა სუფევდეს!

იხ. მე-7 გვ.

# 14 წელი - უხუცესებთან ერთად

*ახალი წლის დადგომას შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი «ფესვები» კონცერტით შეხვდა. თითქმის ორწლიანი «იძულებითი» შესვენების შემდეგ მისი წევრები პირველად წარსდგნენ შუახეველი და უცხოელი სტუმრების წინაშე. იმ დღეს დაბადებიდან 70 წლისთავი მიულოცეს «ფესვების» სოლისტ* ***რევაზ მჟავანაძეს****. იუბილარი ჩვენი სტუმარია.*

- სპეციალობით ფინანსისტმა 2007 წლამდე ცეკვა-სიმღერისთვის ვერ მოვიცალე. სხვადასხვა წელს შუახევის რაიონის სამხედრო კომისარიატში მთავარ ბუღალტრად, შუახევის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში არაერთ პოზიციაზე ვიმუშავე. გასული საუკუნის 90-იან წლებში ყველაფერი რომ გადაფასდა, სოფელს დავუბრუნდი. ერთ ხანს ბიზნესში ვცადე ბედი, მოგებაც მქონდა. ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის გაუარესების შემდეგ ბიზნესს თავი დავანებე და...

**- ცეკვა თუ ბავშვობიდან არ გიყვარს, ასაკში რთულია შესწავლა.**

- წყაროთელ მჟავანაძეებს და მახარაძეებს ცეკვისადმი გამორჩეული მიდრეკილება გვაქვს. 108 წელი იცოცხლა ბაბუამ მირალ მახარაძემ. იგი სოფლიდან პირველი მილიციელი იყო. ქორწილებში, სხვა ღონისძიებებში «განდაგანას» გამორჩეული ილეთებით ჩამოუვლიდა. მამა ხასან მჟავანაძე ბაბუას ბაძავდა. დედა, მეხბულე კონცელიძე-მჟავანაძე ხარაულიდან იყო წყაროთაში გამოთხოვილი. მთელ ჭვანის ხეობაში იყო ცნობილი მისი ხელწერით დადგმული «ქალთა ხორუმი». შუშანა გოგრაჭაძე, სულთან ქარცივაძე, ნინელი გოგრაჭაძე მისი პარტნიორები იყვნენ. სამწუხაროდ, დღეს წუთისოფელში აღარ არიან. სულთანი შარშან გარდაიცვალა. ზემოხეველი ქარცივაძეების შთამომავალია მეუღლე შუშანა ქარცივაძე. ზემოხეველებს ცეკვა-სიმღერის მიმართ გამორჩეული მიდრეკილება აქვთ. მშობლები საცხოვრებლად ჩაქვში რომ გადავიდნენ, ბებია-ბაბუასთან დავრჩი. ისინი კიდეც მანებივრებდნენ, მაგრამ სწავლისა და ცეკვისადმი განსაკუთრებული მიდგომით მასულგმულებდნენ. ჭვანის საშუალო სკოლაში სწავლა რომ გავაგრძელე (მაშინ წყაროთაში მხოლოდ 8-წლიანი სკოლა იყო), ქორეოგრაფმა ოთარ მჟავანაძემ თავისთან მიხმო, მაგრამ ჩვენი ურთიერთობები დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი სამუშაოდ ბათუმის პროფესიულ სასწავლებელში გადავიდა.

**- «ფესვების» თითოეულ სოლისტს «განდაგანას» საკუთარი ილეთები გამოგაქვთ სცენაზე, თქვენი სოლო ცეკვა რა თავისებურებითაა გამორჩეული?**

- შუახეველ და განა მარტო მათ, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში კარგად ახსოვთ წყაროთელი ალი მახარაძისა და ჭალელი ხასან შარაშიძის სოლოები. ალი «განდაგანას» მშვიდ ტემპში ცეკვავდა, ხასანი - სცენას ქარივით ჩამოუქროლებდა. ბაბუას და მამაჩემსაც გამორჩეული ილეთები ჰქონდათ. მათი ილეთების ნაზავს ჩემეული ვარიანტიც მივუმატე და 14 წელია სცენაზე გამომაქვს.

**- შვილები, შვილიშვილები რა პოზიციაზე არიან?**

- ჩემს ასაკში ალბათ, ისინიც სცენას დაუმეგობრდებიან. ვაჟი ზვიადი ქართულ ჯარში მსახურობს. სამჯერ სამშვიდობო მისიით ავღანეთში იმყოფებოდა. ქალიშვილი დარეჯანი ახალდაბელი თავდგირიძეების რძალია. ერთი ვაჟისა და ორი ქალიშვილის დედაა. დარეჯანს პედაგოგიურ სარბიელზე წარმატებები აქვს. მისი ქალიშვილები რუსუდანი და ქეთევანი ცეკვა-სიმღერასაც ეტრფიან და ცხოვრებისეული წესითაც გამორჩეულნი არიან. მათი ძმა სულხანი სამაშველო სამსახურის სპეციალისტია. სამი ქალიშვილისა და ორი ვაჟის მამა, შვილების, შვილიშვილების სიკეთით ვხარობ. შესაშური ოჯახი აქვს მადონასაც. იგი გერმანიაში გათხოვდა. ახლა ფრანკფურტში ცხოვრობს. ზვიადის მსგავსად კარგი ოჯახი მოიწყო მეორე ვაჟმა. იგი ბათუმში ცხოვრობს და მუშაობს. ნაბოლარა ქალიშვილი საბედოს ელოდება. უკვე ორ შვილთაშვილსაც მოვესწარი. იმედით ვცოცხლობ. გენი თავის გამოძახილს იპოვის.

**- შუშანა ქარცივაძესთან ერთად 52 წელია ცხოვრებას უძღვებით.**

- შუშანასთან თანაცხოვრების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე უკვე გადავიხადე. სიბერეში ერთმანეთს ვეფერებით და ერთმანეთით ვხარობთ.

**- მეუღლე სიყვარულით შეირთეთ თუ...**

- მამაჩემი იყო მაჭანკალი. ზემოხევიდან წყაროთამდე ცხენებზე ამხედრებული მაყრიონი მოგვაცილებდა.

**- «ამრევი» რატომ შეგარქვეს? ამის არაფერი გეტყობათ.**

- რამდენიმე წლის განმავლობაში მე და ჩემი ბავშვობის მეგობრის გურამ (ედიკა) თურმანიძის პირუტყვს კურორტ ბახმაროს სიახლოვეს არსებულ ლეკნარის მთაში მივრეკავდით. ერთ წელსაც პირუტყვის ბარში გადმორეკა შეგვავიანდა, თოვლმა მოგვისწრო. ჩრდილას დაძლევა შეუძლებელი იყო. ნამთივრი და პირუტყვი ბახმაროს შემოვლით გადმოვიტან-გადმოვიყვანეთ. ერთმა თანასოფლელმა მაშინ თქვა: რევაზი და ამინდი ერთნაირად ურევენო. სახელი ჩხუბთან კავშირში ნამდვილად არაა. საქმის გარჩევაში ზოგჯერ კიდეც ვერევი, რადგან უსამართლობას ვერ ვეგუები, მაგრამ ჩხუბი არ მიყვარს. მაშინ ვმშვიდდები, როცა სამართალი იმარჯვებს.

**- გერმანიაში გათხოვილ ქალიშვილს თუ სტუმრობთ?**

- მადონა საბერძნეთში სამუშაოდ იყო წასული. იქ გაიცნო მომავალი საქმრო. დაოჯახების შემდეგ საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდნენ. შვილი ილია იქ შეეძინათ. რამდენიმე თვის წინ წყაროთაში მსტუმრობდნენ. სიძე გაოცებული დარჩა ჩვენი სტუმართმოყვარეობით, ბუნების სილამაზით. უკვე ვიზას მიმზადებენ და აგვისტოში მეუღლესთან ერთად, გერმანიაში სტუმრობას ვაპირებ. ისე, რაღა დაგიმალოთ და კორონას მეშინია. ამ უჩინარმა მტერმა ჩვენი ანსამბლის წევრი ოთარ ჭაღალიძე შეიწირა.

**- უხუცესთა ანსამბლს მეგობრობისა და ურთიერთობის სიმბოლოდ თვლიან.**

- 14 წელია ქორეოგრაფ ბადრი დარჩიძის ხელდასმით მოვდივართ. ფოლკლორის ეროვნული ცენტრის პრემიის, სხვა კონკურსებისა და ფესტივალების ლაურეატები ვართ. გულსატკენია, რომ ოთართან ერთად ანსამბლს გამოაკლდნენ ტარიელ კაკალაძე, ტარიელ მაკარაძე, «განდაგანას» უბადლო შემსრულებელი მუხამედ ართმელაძე, დავით მჟავანაძე. გვიხარია, რომ ისევ ჩვეულ ფორმაშია ანსამბლის უხუცესი წევრი შოთა (ობეხე) დიასამიძე. მას 2022 წლის დამდეგს «საპატიო შუახეველის» წოდება მიანიჭეს. ამ წოდების მატარებელია ანსამბლის მთავარი ქორეოგრაფი ბადრი დარჩიძე. ეს ადამიანი მარტო ჩვენი ხელმძღვანელი კი არა, დამრიგებელი, მეგობარი, ოჯახის წევრია. მისი დამსახურებით ჩვენი ხელოვნება საქართველოს ფარგლებს გარეთ გავიტანეთ. მან სცენაზე «განდაგანას», «ხორუმის», სახალისო ცეკვების მივიწყებული ვარიანტები გააცოცხლა. დღეს ალიოსმან დავითაძის «განდაგანას» მისი შვილი ნოდარ დავითაძე ასრულებს. ტარიელ კაკალაძისას - მიხეილ კაკალაძე, მუხამედ ართმელაძისას - ზურაბ ართმელაძე. ტარიელ მაკარაძის ილეთები ლევან ფუტკარაძემ გადაიბარა. მაყურებელს სიამოვნებას ანიჭებენ ნოდარ ქარცივაძე, მიხეილ მელიქიშვილი, თამაზ ბერიძე, დავით მაკარაძე. დაარსების დღიდან ჩვენთან არიან ნანული გოგიტიძე და თამარ დიასამიძე-მიქელაძე. ახალ წევრებსაც ველოდებით.

**- მშობლები წუთისოფელში აღარ გყავთ, და-ძმები, შვილებიც აღარ ცხოვრობენ სოფელში, თქვენ კი შემორჩით.**

- ბაბუას შეგონების ერთგული ვრჩები. ჩემდა საბედნიეროდ, არც მეუღლე ფიქრობს სოფლის მიტოვებას. კაცი, რომელსაც სოფელში ოთარ მჟავანაძის, ლექსო შარაშიძის სადარი მეგობრები ჰყავდა და ჰყავს, წინაპართა საფლავების მიტოვებაზე არ უნდა ფიქრობდეს. წყაროთას ასლან მჟავანაძის, ედუარდ, ვახტანგ, გიორგი, მალხაზ გოგრაჭაძეების სახით, სოფლის გულშემატკივარი, საღად მოაზროვნე ადამიანები არ აკლია. რასაც ბიზნესმენი ლევან (ასლან) აბაშიძე სოფლისთვის აკეთებს, ეს მხოლოდ ერთეულებს ხელეწიფებათ. პანდემიისდროინდელი კრიზისი სოფელს ამ კაცმა გადაატანინა. გულით გავიხარე, როცა მას «საპატიო შუახეველის» წოდება მიანიჭეს. რომანისა და ლექსების ორი წიგნის ავტორია ვახტანგ გოგრაჭაძე. განათლების სისტემის კარგი ხელმძღვანელია ედუარდ გოგრაჭაძე.

**- ხეობა, რომლის მკვიდრიც ხართ, ფოლკლორისა და ზეპირსიტყვიერების სავანეა. ამ საუნჯეს თქვენი თაობა როგორ ინახავს?**

- ხეობის ფოლკლორზე, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებზე ბევრია ნათქვამი ნოდარ შარაშიძისა და დემურ ქათამაძის წიგნში «ჭვანის ხეობა», ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ «აჭარული საუნჯის» ტომებში, რამაზ სურმანიძის, სხვა მეცნიერებისა და მკვლევარების ნაშრომებში. თუმცა კიდევ ბევრია სამზეოზე გამოსატანი. საშურ საქმეს აკეთებს ავთენტურ ანსამბლ «ჭვანას» ხელმძღვანელი ტარიელ ბოლქვაძე, ანსამბლის ჩამოყალიბებასთან ერთად, მან სათავე დაუდო სოფელ ხაბელაშვილებში ჭვანის ხეობის ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებას. სხვათა მსგავსად, გული შემტკივა, რომ საერთოდ დაცარიელდა ფოთარო, ძაღიანი, ნაგომარი. მოსწავლეთა კონტინგენტი მინიმუმამდე დავიდა ინწკირვეთის, ნაღვარევის, ვანის, ზემოხევის სკოლებში. ნაღვარეველ მეხორუმეებს ხასან ხილაძე ამაგრებს. სოფელ ინწკირვეთში გოგონათა ანსამბლი ვეღარ შეინარჩუნა ნანული ჭაღალიძემ. ინწკირვეთელებმა «ხერტლის ნადური» პირველებმა აღადგინეს. საუბარში რამდენიმე კეთილი ადამიანის გვარ-სახელი ვახსენე. მათ მსგავსად, ყველამ უნდა გამოვიღოთ ხელი ქართული სოფლისა და მისი ადათ-წესების, აქ დავანებული ფოლკლორისა და ზეპირსიტყვიერების გადასარჩენად.






# ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სტიპენდია გადაეცათ

***ერთი წლის წინ კოვიდმა შეიწირა დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე. მას ერმა და ქვეყანამ ამაგი დაუფასა და აჭარის მკვიდრთაგან პირველს ერგო მახათას მთაზე, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალვის პატივი***

ოჯახის წევრებმა, მეცნიერებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრებმა, უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატებმა ამ დღეებში პატივი მიაგეს ტარიელის ხსოვნას, დეკანოზმა დავით გაბრიჭიძემ კი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.



მშობლიური აჭარა და შუახევი ღირსეულ შვილს ამაგს უფასებს. მისი სახელობისაა შუბნის საჯარო სკოლა, სადაც ტარიელი სწავლობდა. შუახევის მუნიციპალიტეტმა დააწესა ტარიელ ფუტკარაძის სახელობის სტიპენდია, რომელიც შუახევის მკვიდრ წარჩინებულ სტუდენტებს გადაეცემათ. ამ პატივის ღირსი წელს ოთხი სტუდენტი გახდა: დღვანელი მირიან ფუტკარაძე, ნიგაზეულელი ირმა კეკელიძე, ჭვანელები სალომე ჭაღალიძე და ქეთი კილაძე. მათ შუახევის მერიაში მოწმობები საზეიმო ვითარებაში მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ფრიდონ ფუტკარაძემ გადასცეს. თითოეული სტიპენდიატი სემესტრის განმავლობაში 500-500 ლარს მიიღებს.

ყოველი სემესტრის ბოლოს კონკურსი გამოცხადდება სტიპენდიის ახალი მომპოვებლის გამოსავლენად.

**გვერდი მოამზადა ოთარ ცინარიძემ**

# დასახლების ფერისცვალება

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

***ხიჭაურის დასახლება მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა ნაპირზეა. იგი ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ახლოს მდებარეობს და 12,3 ჰექტარი ფართობი უჭირავს.*** ხიჭაურს ჩრდილოეთიდან ზედაყანა ესაზღვრება, სამხრეთიდან მდინარე აჭარისწყალი ჩამოუდის, აღმოსავლეთიდან სოფელ ახალდაბის ტერიტორია და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სოფელი ტაკიძეები ესაზღვრება. 1949 წლამდე აქ რამდენიმე შენობა იდგა. ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფელ ტაკიძეებისა და ახალდაბის მცხოვრებთა სახნავ-სათესი ნაკვეთები იყო. 1949 წლის პირველი მაისიდან დასახლებამ სხვა დატვირთვა შეიძინა. იქ რუსული სამხედრო ნაწილი გაიხსნა. ამ ნაწილში მომუშავე ოფიცრები და ჯარისკაცები საქართველო-თურქეთის საზღვრების 64-კილომეტრიან მონაკვეთს აკონტროლებდნენ, ქედის რაიონის მთა დიდვაკის ტერიტორიიდან დაწყებული, კურორტ ბეშუმის შემოგარენით დამთავრებული. საზღვრის გამყოფ ეკლიან მავთულხლართებთან მიახლოება ადგილობრივ მცხოვრებლებსაც ეკრძალებოდათ. აჭარის მთიანეთში საპატიო სტუმარს სპეციალური საშვის გარეშე ვერ მოიპატიჟებდი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კიდევ 10 წელი დარჩა რუსული ჯარის ნაწილი ხიჭაურის ტერიტორიაზე. 1999 წლის 1 მაისს მესაზღვრე ჯემალ ზოიძეს პატივი ერგო, სამწყობრო მოედანზე აღმართული რუსული დროშა ჩამოეხსნა. ამით ხიჭაურის დასახლებაში ოკუპანტების ყოფნა დასრულდა და ახალი ცხოვრება დაიწყო. მცირე ხნით ყოფილ ყაზარმაში ქართული სასაზღვრო ნაწილი განთავსდა, რომელიც რამდენიმე სექტორს აკონტროლებდა.

ქართველებს ლამის წესად გვექცა წინაპართა დანატოვარის ნგრევა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დატაცება-განადგურება. ასე მოხდა ხიჭაურის დასახლებაშიც, რასაც დიდად არ შეუწუხებია იმ დროს ხელისუფლებაში მყოფი «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის» ადგილობრივი და რეგიონული ხელმძღვანელები. ერთ ხანს ქალთა საპატიმროს გახსნაზეც იყო საუბარი.

ხიჭაურელებს არ ავიწყდებათ შუახევის რაიონის (მაშინ ასე უწოდებდნენ) საკრებულოს თავმჯდომარის ვაჟა დავითაძის მამულიშვილური ღვაწლი. ხიჭაურის დასახლებაში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნების ინიციატორმა ამ საქმეში მასმედიის წარმომადგენლებიც დაიხმარა. ვაჟა დავითაძე პირველი იყო, ვინც 12,3 ჰექტარი ტერიტორიის საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადაცემა მოითხოვა. ვაჟას და მისი მიმდევრების დაწყებული საქმის ერთგვარი გაგრძელება იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივა და საპატრიარქოს წმინდა სინოდის განჩინება სხალთის ეპარქიის დაფუძნების თაობაზე.

პატრიარქის და სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსის (ახლა მთავარეპისკოპოსის) მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, ყოფილი ყაზარმის პირველი სართულის ერთი ფლიგელი ჯერ ნათლობის ადგილად, ხოლო შემდეგ სამლოცველოდ დაფუძნდა.

არსებული მატერიალური ბაზა, სტრატეგიულად აჭარის მთიანეთის სამივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მისაწვდომი ტერიტორია იმის წინაპირობა გახდა, რომ 2009 წლის სექტემბერში ყოფილი სამხედრო ნაწილის ტერიტორიის 7,1 ჰექტარზე საქართველოს საპატრიარქოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტი გახსნილიყო. აქ წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლაც ამოქმედდა.

ყოფილი რუსული სამხედრო ნაწილის რუსული სკოლის შენობაში, რომელიც ერთადერთი იყო აჭარის მთიანეთში, ხიჭაურის სამსაფეხურიანმა საჯარო სკოლამ დაიდო ბინა.

ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ. რამდენიმე მათგანი, კვალიფიციური უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, უნივერსიტეტსა და სკოლაში აგრძელებს მუშაობას. ზოგიერთებმა მეცნიერული სფეროც აირჩიეს.

ფონდი «ქართუს» თანადგომით, მეუფე სპირიდონის, რეგიონისა და ადგილობრივი ხელისუფლების ზრუნვით ხიჭაურის დასახლება აჭარის მთიანეთში მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერად იქცა. მართლმადიდებლურმა ტაძარმა საეკლესიო ზარები აახმიანა. საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული შენობები ფურცლოვანი თუნუქით დაიხურა. რეგიონული ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით 11 კილომეტრიდან სასმელი წყალი გამოიყვანეს. დასახლებაში მეხუთე წელია ბაგა-ბაღი მოქმედებს. ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე ბეტონის საფარი დაიგო.




საერთო საცხოვრებლებში ხიჭაურელებს თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი სპორტული მოედანი აქვთ. სადაც ერთ დროს ხიჭაურის სასაზღვრო ნაწილის ოფიცრები ცხოვრობდნენ, ახლა ქართული ოჯახები არიან შესახლებულები. მათ ბინები აჭარის მთავრობამ სიმბოლურ ფასად - ერთ ლარად გადასცა.

- ხიჭაურიდან რუსული ჯარი რომ გავიდა და სკოლა ქართულ საგანმანათლებლო კერად იქცა, მეუღლესთან - ვალენტინა ჩოლტიანთან ერთად დავიწყე მუშაობა. ერთ ხანს სკოლის დირექტორობაც მანდეს. ორი ათეული წლის განმავლობაში ამ ტერიტორიამ სახე და დანიშნულება იცვალა. მოსახლეობის მოთხოვნაა, რომ დასახლებას სოფლის ან დაბის სტატუსი მიენიჭოს, მაგრამ სამართლიანი მოთხოვნა დღემდე გაუთვალისწინებელი რჩება, - გვითხრა მწერალმა დავით ქათამაძემ.

ხიჭაურის დასახლებას სოფელ ტაკიძეების ერთი უბანი - ზედაყანა ემიჯნება. ამ უბანში მცხოვრები გიორგი ჯაყელის ოჯახის წევრები აქ მიმდინარე აღმშენებლობითი პროცესის მოწმენი არიან.

- ხიჭაურის ტერიტორია ერთ დროს ქვა-ღორღით იყო დაფარული. ჩვენი ამ უბანში დასახლება ხიჭაურის განვითარებასთანაა დაკავშირებული. გული შეგვტკიოდა, როცა არსებული მატერიალური ბაზა ნადგურდებოდა... ახლა ტერიტორიაზე 150-ზე მეტი ოჯახი სახლობს. გვიხარია, რომ ახალგაზრდობა კლასიკურ განათლებას ეუფლება. ეს ადგილი ახალ სტატუსს ნამდვილად იმსახურებს, - გვითხრა 9 შვილის მამამ ნუგზარ ჯაყელმა.

იმედია, 2022 წელს ხიჭაურის დასახლება ახალ სტატუსს შეიძენს.

# გაბავშვებული ჟურნალისტების არაბავშვური საახალწლო სურვილები

მე-5 გვერდიდან

**ნანა აბულაძე**

ახალი წელი ყოველთვის საოცარ ემოციებთან ასოცირდება... ბავშვობიდან გჯერა, რომ 12 საა-



თის დადგომასთან ერთად ცა იხსნება და თითოეული ადამიანის სურვილი ღმერთამდე მიდის. სწორედ ამიტომ, მინდა დადებითი ემოციები გავაგზავნო კოსმოსში, მინდა ვთხოვო მეტი სიყვარული ადამიანებში, მეტი სითბო და მზრუნველობა. მუდამ გვახსოვდეს, გადასარჩენად სულს სული სწყურია. ვიყოთ მცხუნვარე მზეში ერთმანეთისათვის მიწოდებული წყარო... გვიყვარდეს ბავშვური გულწრფელობით და გვჯეროდეს, ყველაფერი კარგად იქნება. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ მოგვეთხოვება - ვიყოთ ბედნიერები. მე თქვენ მიყვარხართ, ადამიანებო!

**მარიამ ხითარიშვილი**

ბევრ ღიმილს, სიყვარულს, სითბოს და სიკეთეს გისურვებთ! თავგადასავლების, სიახლეების, ცვლილებების, ახალი ემოციების, შესაძლებლობების, შთაბეჭდილებების და სურვილების ასრულების წელი ყოფილიყოს 2022! ვისურვებდი, მეტი სამოქალაქო პასუხისმგებლობა გამოგვეჩინოს, ერთად დაგვემარცხებინოს პანდემია და ცხოვრების ჩვეულ რიტმს და-



ვბრუნებოდეთ. მინდა, რომ არასოდეს შემოიჭრას ჩვენში ის სუსხი, რომელიც ამ თვეს ახლავს თან... და, რაც მთავარია - საკუთარ თავთან ჰარმონიას გისურვებთ! ამაზე მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი არაფერია. ნაკლებად უსმინეთ სხვას და ბევრი - საკუთარ თავს! ბედნიერება მხოლოდ ამას მოაქვს!

**ნაირა ფუტკარაძე**

გილოცავთ შობა-ახალ წელს. დაე, 2022 წელი თქვენს ოჯახებში ყოფილიყოს ჯანმრთელობის, სულიერი სიმშვიდისა და ერთიანობის მომტანი. თითოეულ ადამიანს



ვუსურვებ: სიხარულის მომატებას, მწუხარების გამოკლებას, ბედნიერების გამრავლებას და სიყვარულის გაყოფას ყველა საყვარელ ადამიანს შორის.

დახურეთ 2021 წელი მადლიერებით სავსემ ყველაფრისთვის, რაც მან მოგცათ, წაგართვათ, შეცვალა ან დატოვა და გახსენით 2022 ახალი იმედისა და რწმენისთვის, რომ ღვთაებრივი სიბრძნე კიდევ ერთხელ მოგცემთ იმას, რაც არის თქვენთვის სწორი, სრულყოფილი და მოსახერხებელი.

**ნათია იმნაიშვილი**

დაე, ახალი წელი ყოფილიყოს ხვავით, ბარაქით, სიხარულით, სიყვარულით, სიკეთითა და ბედნიერებით დატვირთული წელი ჩვენი ოჯახებისთვის, მთლიანად საქართველოსთვის და სრულიად სამყაროსთვის!

ეს წელი ნამდვილად რთული იყო - პანდემიამ შეცვალა მსოფლიო, დიდი დანაკარგი განიცადა ჩვენმა ქვეყანამაც. მძიმე იყო ყოველდღიურობის გაძლება, როცა ადამიანებს ერთმანეთისგან დის-



ტანცირებულად გვიწევდა ყოფნა. თუმცა ამ რეალობამ ბევრი რამ გვასწავლა, აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი სიცოცხლის დაფასება და ერთმანეთის გაფრთხილებაა.

ვისურვებდი, ახალ წელს კიდევ უფრო მეტად გვეზრუნოს ერთმანეთზე, ვყოფილიყავით უფრო სოლიდარულები მათ მიმართ, ვისაც ეს სჭირდება, დაგვეძლიოს ერთმანეთისადმი გაუცხოება და უარი გვეთქვას სიძულვილისთვის. ვისურვებდი, ქვეყანაში ყოფილიყოს მშვიდობა, მალე გვენახოს ჩვენი სამშობლო გაერთიანებული!

*მე კი ვინატრებ, უფალმა შეისმინოს ყველა კეთილი სურვილი, მათ შორის პირადიც, 2022 კაცობრიობისთვის სასიკეთო ოცნებების ახდენის, ჩაკეტილი შესაძლებლობების რეალიზების, ნიჭიერი და კარგი ადამიანების აღზევების, სილამაზის გადარჩენის, ჩვენს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის, კანონიერების დამკვიდრების, პოლიტიკოსთა ქვეყნის ინტერესებისთვის მოსვლის, ყოველ ქართველში მოქალაქეობრივი პასუხიმგებლობის გაღვიძების, ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, კორონავირუსისა და მისი შლეი-*



*ფშტამების გაქრობის, ყოვლისმომცველი სიყვარულის ტახტზე დაბრძანების წელი ყოფილიყოს. ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ!*

*მარინა მითაიშვილი*

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აძარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 10/01/22, 20 50 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# პირველი ქართული სკოლა აჭარაში 140 წლისაა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

***ზუსტად 140 წლის წინათ აჭარაში, ბათუმში, საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გახსნა პირველი ქართული სკოლა, რომელიც ახლა ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს.*** სწორედ ილია ჭავჭავაძეს მიუძღვის დიდი წვლილი მის დაარსებაში. ის სკოლის გახსნასაც დაესწრო და სიტყვაც წარმოთქვა. თურქთა ბატონობისაგან დახსნილი და დედასაქართველოსთან დაბრუნებული აჭარისთვის ამ სკოლის გახსნას დიდი როლი ენიჭებოდა - მას უნდა აღედგინა ამ კუთხეში ქართულ ენაზე სწავლება.

ამჟამად №1 საჯარო სკოლა აჭარაში ყველაზე მრავალრიცხოვანია. აქ 71 კლასში 2189 მოსწავლე სწავლობს, მოზარდი თაობის აღზრდას 110 პედაგოგი ემსახურება, სულ სკოლაში 132 თანამშრომელია. ძველ, გამოცდილ პედაგოგებთან ერთად აქ ახალგაზრდებიც საქმიანობენ. პანდემიის გამო საიუბილეო თარიღი სკოლამ არა 2021 წლის მარტში, არამედ მოგვიანებით აღნიშნა. გამორჩეულად მოეფერნენ ღვაწლმოსილ პედაგოგებს, უმრავლესობას სახლებში ეწვივნენ (ვისაც ჯანმრთელობის გამო გადაადგილება უჭირს) და პატარა ინტერვიუებიც ჩაწერეს, დანარჩენები კი საიუბილეო ღონისძიებაზე მიიწვიეს.

მცირე ისტორიული ფაქტებით, მოსწავლეებმა შეკრებილთ სკოლის დაარსების ისტორია შეახსენეს. სკოლის მუზეუმიდან ექსპოზიცია ფოიეში გადმოიტანეს, რომელიც აქ მუდმივად დარჩება, კიდევ უფრო გაფართოვდება და შეივსება. როგორც სკოლის დირექტორმა ნატალია მგელაძემ აღნიშნა, მათ სურთ შექმნან დოკუმენტური ფილმი რეგიონში დაარსებული პირველი ქართული სკოლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ინფორმაცია განადგურებულია, ჯერ კიდევ შეუძლია მისი ისტორიის გახსენება ერთ-ერთ უხუცეს მასწავლებელს ვენერა სიხარულიძეს, რომელიც ამ სკოლაში სწავლობდა. მან აქ არსებული მაშინდელი პირველი ქალთა გიმნაზია დაამთავრა, შემდგომ ამავე სკოლაში მუშაობდა წლების განმავლობაში. წელს ვენერა სიხარულიძეს 100 წელი უსრულდება. ფილმის შემქმნელები ყველას ეწვევიან სახლებში, ვინც ამ სკოლაში სწავლობდა და ჩაიწერენ მათ მონათხრობს.

იმ დღეს შეკრებილებმა მოისმინეს რამდენიმე მასწავლებლის მოგონება, რომელიც მათგან სახლში ჩაიწერეს. კვლევა გაგრძელდება და ისტორიას შექმნიან არა მარტო აქ მოღვაწე პედაგოგები, არამედ ის კურსდამთავრებულებიც, რომლებმაც ასახელეს სკოლა.

- მეც ამ სკოლის კურსდამთავრებული ვარ და ამით დღემდე ვამაყობ. მინდა წარმატება ვუსურვო ყველას, ვინც ამ სკოლის გულშემატკივარია, ვინც სამომავლოდ ჩართული იქნება მის განვითარებაში, - აღნიშნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

- მინდა დაარსებიდან 140 წელი მივულოცო ჩვენი ქალაქის გამორჩეულ სკოლას, რომლის დაარსება უკავშირდება დიდ ილიას, სკოლას, რომელმაც გაზარდა არაერთი წარმატებული თაობა და დიდი როლი ითამაშა საზოგადოების, ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. მინდა მივულოცო თაობებს, ვინც აქ იღვაწა, და მადლობა გადავუხადო დღევანდელ ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ ასე აფასებს თითოეულ ადამიანს, ვინც წვლილი შეიტანა ამ სკოლის ისტორიაში, - თქვა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

- ლენინის ორდენოსანი ნადია ჩიქოვანი დაწყებითი კლასის მასწავლებელი იყო. ის 1940 წელს შემოვიდა ამ სკოლის პირველ კლასში. დედა ახლა 89 წლისაა. ამ სკოლაში 10 წელი მუშაობდა მამაც, დავით ლომთათიძე, რომელიც ამავე დროს იყო აჭარის დახელოვნების ინსტიტუტის მათემატიკის მეთოდისტი. მე და ჩემმა დამაც ეს სკოლა დავამთავრეთ წარჩინებით. ძალიან მიხარია, რომ ამ სკოლაში ისევ გრძელდება არაჩვეულებრივი ტრადიცია - ასე ერთად აღნიშნავენ ჩვენი მშობლიური სკოლის 140 წელს, - გვითხრა აჭარის განათლების ფონდის ბათუმის მასწავლებლის სახლის დირექტორის მოადგილე ლალი ლომთათიძემ.

- სკოლაში 1985 წლიდან დავიწყე პიონერხელმძღვანელად მუშაობა. ჩემ დროს ასლან ბაკურიძე იყო დირექტორი - ძალიან მომთხოვნი და მკაცრი. ვიმუშავე იაშა კილაძესთან, იზო ტაკიძესთან, მისი მოადგილე ვიყავი. რთული პერიოდი გავიარეთ. ბავშვები შეშით მოდიოდნენ სახლიდან, სანთელზე ვმუშაობდით, მაგრამ სკოლას ტრადიციები არც მაშინ დაუკარგავს, მნიშვნელოვანი ღონისძიებები ძალიან მაღალ დონეზე ტარდებოდა. ჩემთვის ეს სკოლა მეორე ოჯახია და მიხარია ის, რომ ჩვენს ღვაწლს, სკოლის ტრადიციებს ლამაზად, ფაქიზად უფრთხილდება ამჟამინდელი დირექტორი, ქალბატონი ნატალია თავისი გუნდით, - აღნიშნა რუსუდან ბერსენაძემ.

- ეს სკოლა დავამთავრე, მაშინ პირველი ქალთა სკოლა იყო, შემდეგ გადაკეთდა საშუალო სკოლად. მეშვიდე კლასში ვიყავი, როცა ვაჟები შემოგვიერთდნენ და ერთად დავიწყეთ სწავლა. მაშინ სკოლა შოთა რუსთაველის სახელს ატარებდა და იყო №2 საშუალო. აქ 55 წელი ვიმუშავე და ჩემთვის ნამდვილად მშობლიურია. ამ შენობას გულგრილად ვერასოდეს ჩავუვლი. მიხარია, რომ დღეს ასეთი კარგი ღონისძიება ჩაატარეს. მათემატიკას ვასწავლიდი. ორი წელია, რაც აქედან გადავედი და ახლა კერძო სკოლაში ვასწავლი, - გვითხრა 80 წლის სვეტლანა ნაკაიძემ.

- მეხუთე წელია სკოლას ვხელმძღვანელობ. თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობა იყო დირექტორად მოსვლა, რადგან ეს არის არა მარტო № 1 საჯარო სკოლა, არამედ პირველი სკოლა აჭარაში. მიხარია, რომ ამ ბოლო დროს სკოლაში ახალგაზრდა პედაგოგები მოდიან, გაიზარდა მათი ინტერესი ამ პროფესიისადმი. გასაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ ადამიანებმა ჩააბარეს გამოცდები და მათთვის სკოლა საინტერესო დასაქმების ადგილი გახდა, - აღნიშნა სკოლის დირექტორმა ნატალია მგელაძემ.








# ახალი წელი – ახალი ლიტერატურით

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

***ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრი ყოველთვის ორიენტირებულია ახალგაზრდების განათლებასა და განვითარებაზე, შესაბამისად, ლოგიკურიცაა, რომ ცენტრმა ახალი წელი ახალი ლიტერატურის შეძენით დაიწყო. ახალგაზრდების სურვილით შეძენილი წიგნები ცენტრის მცირე ბიბლიოთეკიდან უკვე გაიცემა***

- ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ლიტერატურულ კლუბში ცენტრის დაარსების დროიდან ფუნქციონირებს მცირე ბიბლიოთეკა, რომლის განახლებაც შეძლებისამებრ, ყოველწლიურად ხდება. ბიბლიოთეკაში არის როგორც ქართული, ასევე უცხოური ლიტერატურა. წიგნების შეძენამდე, ლიტერატურული კლუბის წევრებში, ბიბლიოთეკის მომხმარებელ ახალგაზრდებში ვატარებთ გამოკითხვას, ასევე წლის განმავლობაში ვინიშნავთ მათთვის სასურველ წიგნს, რომელიც მოთხოვნის პერიოდისთვის არ გვქონდა ბიბლიოთეკაში, ეს ყველაფერი კი იმისათვის, რომ მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მათი სურვილები. შარშან იყო მოთხოვნა ისეთ წიგნებზე, რომლებიც აბიტურიენტებს სჭირდებოდათ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის. მართალია, ეს წიგნები შესაძლებელია სხვა ბიბლიოთეკებში იყოს, თუმცა მოთხოვნის რაოდენობიდან გამომდინარე, ყველა ვერ ახერხებდა დროულად ესარგებლა. ამიტომ წელს პრიორიტეტად ამ წიგნების შეძენა დავისახეთ. მართალია, მცირე რაოდენობით შევიძინეთ, მაგრამ ვეცადეთ, გაგვეთვალისწინებინა აბიტურიენტთა საჭიროება. გარდა ამისა, ყოველწლიურად არის ახალგაზრდების დაინტერესება ბესტსელერებისადმი, ასევე წიგნებისადმი, რომლებიც რამდენიმეტომიანია და ელოდებიან ხოლმე ახალი ტომის გამოცემას. ჩვენც ვცდილობთ, მსგავსი წიგნების ყველა ტომი შევიძინოთ და არ დავუკარგოთ მათ ინტერესი. წელს ლიტერატურის შეძენისას გავითვალისწინეთ საბავშვო ლიტერატურაც. ჩვენთან უფროს და-ძმებთან ერთად პატარებიც მოდიან ხოლმე, ინტერესდებიან ბიბლიოთეკით, ახარებთ წიგნების კითხვა, ამიტომ რამდენიმე წიგნი მათთვისაც შევიძინეთ. ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში მცირე ბიბლიოთეკის წიგნებით სარგებლობა შეუძლია ყველა ახალგაზრდას. ამისთვის საკმარისია, მოვიდნენ ახალგაზრდობის ცენტრში, დაგვიტოვონ საკონტაქტო მონაცემები და გაიტანონ წიგნი გარკვეული ვადით. შეუძლიათ წაიკითხონ ადგილზეც. ამ მხრივ, შეზღუდვები გვაქვს მხოლოდ კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული რეგულაციების მიხედვით. ყველაზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ხელშეწყობა, რათა მიიღონ არაფორმალური განათლება, იყვნენ ჩართულნი ლიტერატურულ მარათონებში, კონკურსებსა და ოლიმპიადებში, იმ საგანმანათლებლო თამაშებში, რომლებიც ხელს უწყობს მათ განვითარებას და საუკეთესო შედეგების მოპოვებას სხვადასხვა შეჯიბრებაში. ამ მიმართულებით ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის წევრების ინტერესი ლიტერატურისადმი საკმაოდ მაღალია. ზოგადად, წიგნები გვამზადებენ ცხოვრებისათვის, ახალგაზრდობის ცენტრის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ეს არის - ახალგაზრდების მომზადება ცხოვრებისეულ სირთულეებთან გასამკლავებლად, ამისთვის კი მათი განვითარების ხელშეწყობა, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელმა ნატა ხინკილაძემ.

